ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

12 ნოემბერი **ორშაბათი** 2012 №268 (13 874) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# პირველი სამქულიანი



შაბათის მატჩების შესახებ
იხილეთ მე-12 გვერდზე

გოლოწამს...

✓ კლიპერსი-ატლანტა 89:72
ზაზა პაჩულია: 30 წთ, 5 ქულა, 6 მოხსნა, 1 პასი

✓ ბრუკლინი-ორლანდო 82:74
თორნიკე შენგელია: არ უთამაშია

# ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... 8 ჯერ?!

## დინამოებმა 8 გაიტანეს



დინამო (თბ)-დინამო (ბთ) 5:3. ლევან ხმალაძემ ანგარიში გაათანაბრა ფოტო: www.fcdinamo.ge



გორის დილამ ზედიზედ მეათე მატჩი მოიგო ფოტო: www.fcdila.ge

# დილა, როგორც შვეიცარიული საათი

2-3

# მესიმ პელეს ჩაუქროლა

გერდი 85, ლიონელი 76, პელე 75

არგენტინელს აბსოლუტურ
რეკორდამდე დარჩა 50 დღე და 9 გოლი




# რომაული დერბი ლაციომ მოიგო

ევროუქმეები

5-10




# MATE!

11 რატომ იჩხუბეს შუკვანმა და გუჯეჯიანმა

## ქართული ფეხბურთი

**საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტური**



ჯაბა დვალმა ორი გოლი გაიტანა და ბომბარდირებში დამაჯერებლად ლიდერობს — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

# მასპინძლები ანერვიულეს...

**11.11. თბილისი. დინამო არენა**
**700 მაყურებელი**

**დინამო (თბ) 5**
**დინამო (ბთ) 3**

0:1 ბაციკაძე (16, ცანავას პასით), 1:1 ხმალაძე (11, კვარაცხელიას პასით), 2:1 ჩისკო (19, ძარიას პასით), 3:1 დვალი (22), 4:1 დვალი (39, ჩისკოს პასით), 4:2 ბერიძე (50, დიასამიძის პასით), 4:3 ბერიძე (52), 5:3 ჩისკო (89)

| დინამო(თბ) 4-4-2 | დინამო(ბთ) 4-4-2 |
|---|---|
| ლორია | მამინაშვილი |
| სეთურიძე | დიასამიძე |
| გ. კვარაცხელია | პილაძე |
| ხიზანეიშვილი | ბახელიძე |
| გლიშიჩი | თოთაძე |
| ალვარო | ცანავა |
| ძარია | ვარშანიძე |
| ხმალაძე | ა. მუხირი |
| მერებაშვილი | მაკარიანი |
| ჩისკო | ბერიძე |
| დვალი | ბაციკაძე |
| მწვრთნელი დ. უჰრინი | მწვრთნელი გ. გურული |

**დინამო(თბ)**

72. ხმალაძე – **კვეკვესკირი**
84. დვალი – **როზერტინიო**
*სათადარიგოები:* ზარქუა, ტვილდიანი, ჯილაური, ვოსკობოინიკოვი, გველესიანი

**დინამო(ბთ)**

72. ვარშანიძე – **სიჭინავა**
80. ცანავა - **თევდორაძე**
88. ბერიძე – **ტიმჩიშინი**
*სათადარიგო:* აბუსელიძე, ცნობილაძე, ტაკიძე
გაფრთხილება: ჩისკო (58), ცანავა (70), მერებაშვილი (90)
მსაჯი: დ. სანოძე

სტუმრებმა იმდენი მოახერხეს, რომ რამდენიმე წუთი "დინამო" ანერვიულეს, სენსაციის მოხდენის ჯანი კი აჭარლებს არ აღმოაჩნდათ.

არ არის ადვილი, ყველა თამაშზე ერთნაირი მოტივაციით რომ გახვიდე, **დუშან უჰრინის** გუნდსაც ეტყობოდა, რომ აკლდა ის შემართება, მოწინავე გუნდებთან მატჩის დროს რომ აქვს.

სტუმრებმა მხნედ დაიწყეს შეხვედრა, საგოლე კომბინაცია **თორნიკე ბერიძემ** დაიწყო, წერტილი კი **ალექსანდრე ბაციკაძემ** დასვა ახლო მანძილიდან.

ბათუმის „დინამოს" დრო სჭირდებოდა, რომ ეს უპირატესობა გაემყარებინა, მაგრამ მალევე გაუშვა გოლი: **გიორგი მერებაშვილმა** ჯარიმა შორეული ძელისკენ ჩააწოდა, მაღალი ბურთი **გია კვარაცხელიამ** მოიგო და **ლევან ხმალაძესაც** არ გასჭირვებია გათანაბრება.

თბილისის "დინამოს" დამუშავებული აქვს ასეთი ტიპის სტანდარტული მდგომარეობა პირველად არ მომხდარა, მაღალი ბურთი შორეული ძელისკენ რომ მიდის კვარაცხელიას მისამართით და ასეთი შეტევა გოლით რომ მთავრდება.

სტუმრები ხმალაძის გოლმა გატეხა და "დინამომაც" გაილაღა. **ჩისკომ ირაკლი ძარიას** პასით წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მერე კი **გლიშიჩი-ჩისკოს** მოხდენილი კომბინაცია **ჯაბა დვალმა** დაასრულა გოლით.

ჩისკოს მალევე მართებდა ანგარიშის გაზრდა, **შოთა მამინაშვილთან** პირისპირ დარჩა, გადაავლო ბურთი მეკარეს, თუმცა სიზუსტემ უმტყუნა.

მასპინძლები არ ისვენებდნენ, სტუმრები ყრუ დაცვაში არ იჯდნენ, თუ რამ შესაძლებლობა მიეცემოდათ, იერიშის წამოწყებას ცდილობდნენ, მაგრამ ძალა ალმართს ხნავდა.

სტუმართა მცველთა შეცდომა კარგდა გამოიყენა დვალმა — 4:1. ტაიმი ისე დასრულდა, რომ ბათუმის „დინამო" უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილს ჰგავდა, მაგრამ... მეორე ტაიმი **გია გურულის** გუნდმა მოიგო, მასპინძელთა გამარჯვება სათუო შეიქნა. **ნიკა დიასამიძის** ფლანგური პასით ბერიძემ ჩამორჩენა ორ ბურთამდე შეამცირა, მერე კი ფლანგიდან ჯარიმა შეასრულა, ჩაწოდებულს ვერავინ შესწვდა და ბურთი კარში აღმოჩნდა – 4:3.

ბათუმელები იმტაზე მოვიდნენ, მოვლენების ასეთი განვითარება მასპინძელთათვის მოულოდნელი აღმოჩნდა.

სტუმრებს ანგარიშის გათანაბრების ჩინებული შესაძლებლობა ჰქონდათ – **კარენ მაკარიანის** გადაცემის შემდეგ ბერიძეს ახლოდან, ვარდნაში მართებდა გოლის გატანა, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

ამის შემდეგ ბათუმის "დინამო" ხეირიანად აღარ დამუქრებია თბილისელთა კარს, უჰრინის გუნდმა კი ნელ-ნელა გამოაკეთა თამაში, რამდენიმე მწვავე შეტევა განახორციელა, შეხვედრის ბოლოს კი ჩისკომ ერთხელაც დაამწუხრა სტუმრები.

**მატჩის შემდეგ**

**გია გურული(დინამო, ბთ):** „დაძაბული თამაში გამოდგა, განსაკუთრებით მეორე ტაიმი. ჩვენი სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობ, კარგი თამაში ვაჩვენეთ. ალბათ მეტოქის მწვრთნელიც დამეთანხმება, რომ მისი გუნდი ასეთ წინააღმდეგობას არ ელოდა."

**დუშან უჰრინი(დინამო, თბ):** „მეტოქის მიმართ უპატივცემულობის გამო გოლი გავუშვით, მერე კი, როცა ანგარიში 4:3 გახდა, ჩვენი ფეხბურთელები, ცოტა არ იყოს, ანერვიულდნენ, მაგრამ საქმე გამარჯვებამდე მივიყვანეთ. ჩვენ გზას მივყვებით, თითქოს ჩვევაში გვაქვს, რომ ბევრ გოლს ვიტანთ.":

**დავით თავართქილაძე**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გაგ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო (თბ) | 14 | 10 | 3 | 1 | 41 | 13 | 33 |
| 2 | დილა | 14 | 10 | 1 | 3 | 24 | 8 | 31 |
| 3 | ზუგდიდი | 14 | 7 | 5 | 2 | 19 | 9 | 26 |
| 4 | ტორპედო | 14 | 8 | 2 | 4 | 29 | 13 | 26 |
| 5 | ჩიხურა | 14 | 8 | 2 | 4 | 21 | 14 | 26 |
| 6 | ზესტაფონი | 14 | 7 | 3 | 4 | 17 | 9 | 24 |
| 7 | მეტალურგი | 14 | 5 | 2 | 7 | 9 | 18 | 17 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 14 | 4 | 3 | 7 | 10 | 20 | 15 |
| 9 | მერანი | 14 | 4 | 2 | 8 | 7 | 23 | 14 |
| 10 | სიონი | 14 | 3 | 4 | 7 | 11 | 22 | 13 |
| 11 | დინამო (ბთ) | 14 | 2 | 2 | 10 | 13 | 31 | 8 |
| 12 | კოლხეთი | 14 | 0 | 3 | 11 | 5 | 26 | 3 |

*ცხრილი შედგენილია gff.ge-ს მიხედვით*

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| დვალი (დინამო თბ) | 12 |
| ალვარო (დინამო თბ) | 8 |
| ჩისკო (დონამო თბ) | 8 |
| საბანაძე (ტორპედო) | 7 |

**XV ტური**

**17 ნოემბერი, შაბათი**

ჩიხურა-მერანი
ვიტ ჯორჯია-სიონი

**18 ნოემბერი, კვირა**

დილა-ზუგდიდი
კოლხეთი-დინამო (თბ)
დინამო (ბთ)-ზესტაფონი
ტორპედო-მეტალურგი

**ამონარიდი რეგლამენტიდან**

*თანაბარი ქულების შემთხვევაში ადგილები გაირკვევა შემდეგი პრიორიტეტული პრინციპით:*

1) ჩემპიონატში უშუალოდ ურთიერთშეხვედრების შედეგები (ქულათა რაოდენობა და შემდეგ ბურთების უკეთესი სხვაობა. ბურთების ერთნაირი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ერთმანეთთან შეხვედრებში სტუმრად მეტი გოლი აქვს გატანილი);
2) ჩემპიონატში მოგებათა მეტი რაოდენობა;
3) ჩემპიონატში გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა;
4) ჩემპიონატში გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
5) ჩემპიონატში სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;
6) ჩემპიონატის განმავლობაში გუნდის მიერ მიღებული წითელ-ყვითელი ბარათების რაოდენობა (წითელი - 3 ქულა, ყვითელი — 1 ქულა. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ნაკლებ წითელ ბარათს);
7) თუ გუნდებს ქამჩვენებელიც თანაბარი აღმოაჩნდებათ, ადგილების გამოსავლენად მოეწყობა კენჭისყრა

**11.11. ბოლნისი. თ. სტეფანია.**
**200 მაყურებელი**

**სიონი 0**
**დილა 2**

0:1 მოდებაძე (17. პენ.), 0:2 ონიანი (57. კვირკველიას პასით)

| სიონი 5-4-1 | დილა 4-4-2 |
|---|---|
| ბობღიაშვილი | სანდერი |
| ქემოკლიძე | შაშიაშვილი |
| გ. ოქროპირიძე | გ. ონიანი |
| სვანიძე | თომაშვილი |
| მაჭავარიანი | კვირკველია |
| უგრეხელიძე | კახელიშვილი |
| ჭედია | გვალია |
| ჯოჯუა | გოგუა |
| მანჯავა | ს. გურული |
| თარხნიშვილი | ჟუნიორი |
| ჯიქია | მოდებაძე |
| მწვრთნელი ა. ჯულაძე | მწვრთნელი გ. დარასელია |

**სიონი**

68. ქემოკლიძე – **ქუცურუა**
78. თარხნიშვილი - **ისიანი**
*სათადარიგოები:* ვ. ლობჟანიძე, ჩიკვილაძე, ფეიქრიშვილი, ხურციძე

**დილა**

65. კახელიშვილი – **კლიმიაშვილი**
69. ჟუნიორი – **სალუქვაძე**
87. მოდებაძე - **ბეჟვაია**
*სათადარიგოები:* შეყრილაძე, ჯიშკარიანი, აბურჯანია, შ. კაშია
გაფრთხილება: ჭედია (9), ქემოკლიძე (16), მოდებაძე (24), კახელიშვილი (61)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

## აუღელვებელი გამარჯვება

გორის "დილამ" მიმდინარე სეზონში ზედიზედ მეათე გამარჯვება იზეიმა და დამაჯერებლად განაგრძობს საქართველოს ჩემპიონობისთვის ბრძოლას. "სიონმა" გორელებს შეძლებისდაგვარად წინააღმდეგობა კი გაუწია, მაგრამ მაინც საგრძნობი იყო, რომ **გიორგი დარასელიას** გუნდმა ეს შეხვედრა ძალების დაზოგვით მოიგო. ვერ ვიტყვით, რომ მატჩი ძალიან სანახაობრივი იყო, თუმცა შინაარსიან ფეხბურთს (ძირითადად, სტუმართა შესრულებით) მცირერიცხოვანი ბოლნისური პუბლიკა ეპიზოდურად მაინც აფასებდა თვალს.

მე-16 წუთზე **რევაზ ქემოკლიძემ** საკუთარ საჯარიმოში ბრაზილიელი **ნათან ჟუნიორი** წააქცია და ახალგაზრდა არბიტრმა **გოგა კიკაჩეიშვილმა** მასპინძელთა კარში თერთმეტმეტრიანი დანიშნა. პენალტის ნიშნულთან **ირაკლი მოდებაძე** მივიდა და "დილა" დააწინაურა. პირველი ტაიმი საშუალო ტემპში გაგრძელდა, ბრძოლა ძირითადად მოედნის ცენტრალურ ზონაში მიმდინარეობდა, შესვენებამდე კი ყველაზე დასამახსოვრებელი **გიორგი კახელიშვილის** შორეული და ოდნავ არაზუსტი დარტყმა იყო.

მეორე ტაიმი წვიმის თანხლებით დაიწყო, თუმცა შესვენების შემდეგ უფრო საინტერესო თამაში გაჩაღდა.

57-ე წუთზე სტუმრებმა გამარჯვებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს – **დავით კვირკველიას** მიერ მოწოდებულ კუთხურს **გიორგი ონიანის** ზუსტი თავური მოჰყვა და "დილა" ორბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა.

ცოტა ხანში საქმეში ჩართვა გორელთა ხორვატ მეკარე **მარინ სკენდერს** მოუხდა და ბრწყინვალე რეაქციით იხსნა "დილას" კარი – **რევაზ ჯიქიას** ძლიერი დარტყმა პირდაპირ "ცხრიანში" მიდიოდა. თუმცა იმავე ეპიზოდს საინტერესო გაგრძელება მოჰყვა – "სიონმა" დამატებაზე გოლი გაიტანა, თუმცა მსაჯმა სახიფათო თამაში დააფიქსირა და ბურთი არ ჩათვალა. ამ მომენტზე კომენტარის გაკეთება გაგვიჭირდება, ყველაფერს ვიდეოგამეორება დაადგენს.

67-ე წუთზე ჟუნიორს შეეძლო მატჩისთვის ყოველგვარი ინტრიგის დაკარგვა, მაგრამ მეტოქის მცველის შეცდომით ვერ ისარგებლა და ხელსაყრელი მანძილიდან ბურთი კარს ააცილა. ამის საპასუხოდ, **გიორგი ქუცურუას** ჯარიმა სკენდერმა მოიგერია. "სიონმა" ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ იყო. ბოლნისელებს ქულათა მარაგის შევსება უპირველესად, უშუალო კონკურენტებთან ბრძოლაში მართებთ, "დილამ" კი დაგეგმილი გამარჯვება ყოველგვარი კითხვის ნიშნების გარეშე მოიპოვა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბოლნისი-თბილისი

**11.11. განმუხური.**

**ზუგდიდი 1**
**კოლხეთი 0**

1:0 გაბედავა (69)

| ზუგდიდი 4-2-3-1 | კოლხეთი 4-4-2 |
|---|---|
| ძაგანია | ხარშილაძე |
| დ. ფოფხაძე | ზ. ჩხეტიანი |
| ს. თოდუა | ფარულავა |
| აფაქიძე | ცხვიტარია |
| რ. ონიანი | გაბუნია |
| ტყემალაძე | ქორჩილავა |
| სიხარულია | ცხადაია |
| კუტალია | ჰ. დათუნაიშვილი |
| შ. ლომია | ქებაძე |
| კოშკაძე | კრასოვსკი |
| გაბედავა | კვანტალიანი |
| მწვრთნელი ე. ქომეთიანი | მწვრთნელი ს. ფილია |

**ზუგდიდი**

77. კოშკაძე – დ. ბოლქვაძე
83. ლომია – გუგუჩია
88. კუტალია – კუკავა
სათადარიგოები: მერლანი, წურწუმია, აქუბარდია, ნ. შონია

**კოლხეთი**

25. ქორჩილავა – **კობერიძე**
43. კვანტალიანი – **ლუჟაშვილი**
76. ცხადაია – **პავლიაშვილი**
*სათადარიგოები:* ბუბუტეიშვილი, ტყეშელაშვილი, გ. კილასონია, ნაბრია
გაფრთხილება: კვანტალიანი (21), ცხადაია (31), გაბედავა (63), ჩხეტიანი (74)
არბიტრი: თ. გვანცელაძე

**მატჩის შემდეგ**

**ელგუჯა ქომეთიანი** (ზუგდიდი): "თამაში მძიმედ დავიწყეთ და ველოდით კიდეც ასეთ სურათს გამომდინარე იქიდან, რომ "კოლხეთისთვის" თითოეულ ქულას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. არ მინდა ჩემს ფეხბურთელებს შრომა დავუკარგო, მაგრამ ვაღიარებ, უფრო გამოცდილებისა და უკეთესი ფიზიკური მომზადების ხარჯზე მოვიგეთ. შედეგი ჩვენთვის სასიხარულოა, "კოლხეთს" კი წარმატებებს ვუსურვებ".

**სოსო ფილია** (კოლხეთი): "ჩემი ბიჭების მონდომებითა და თამაშით კმაყოფილი ვარ. იმ რესურსებიდან და მდგომარეობიდან გამომდინარე, რაც დღეისათვის ჩვენს გუნდს გააჩნია, ვერანაირად დავემდურები ფეხბურთელებს. ასეთი შრომის შემდეგ ლოგიკურად შეხვედრა დღეს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ძლიერმა გაიმარჯვა".

**ლევან ჯანეზაშვილი**



სოსო ფილია

საქართველოს ჩემპიონატი. XIV ტური

# რევანში იმერულად

11.11. ზესტაფონი. დ. აბაშიძე. 3000 მაყურებელი

ზესტაფონი 1
ტორპედო 0

1:0 გორგიაშვილი (25)

| ზესტაფონი 4-2-3-1 | ტორპედო 4-4-2 |
| --- | --- |
| რ. კვასხვაძე | მიგინეიშვილი |
| ლონლაძე | რიგვავა |
| კობახიძე | გ. გურული |
| კაჭკაჭიშვილი | ზ. ჭელიძე |
| თვ.გრიგალაშვილი | ბერგალაშვილი |
| მენთეშაშვილი | დოლიძე |
| შარიქაძე | გ. დათუნაიშვილი |
| ბენაშვილი | კუხიანიძე |
| გორგიაშვილი | ე. გრიგალაშვილი |
| მილხრაუმი | ბერიაშვილი |
| ბოტი გოა | საბანაძე |
| მწვრთნელები: | მწვრთნელი: |
| დ. მუჯირი, ზ. ზამთარაძე | გ. გეგუჩაძე |

**ზესტაფონი**

56. გორგიაშვილი - **ბაბუნაშვილი**
80. ბოტი გოა - **წინამძღვრიშვილი**
90. მილხრაუმი - **იელიჩი**

*სათადარიგოები: მამალაძე, რაჟამაშვილი, ელიავა, გაგოშიძე*

**ტორპედო**

55. კუხიანიძე - **ვ. ბოლქვაძე**
55. დოლიძე - **ტულუში**
85. ბერიაშვილი - **ფანცულაია**

*სათადარიგოები: ქვილითაია, ტაბატაძე, გიგაური, იოსელიანი,*

გაფრთხილება: **ბოტი გოა (65), დათუნაიშვილი (67), ტულუში (86), გურული (88), საბანაძე (90)**

არბიტრი: **დ. ხარიტონაშვილი**

ტურის ცენტრალურ მატჩს, რომელსაც ეს საფეხბურთო უქმეები უნდა დაემშვენებინა, ზესტაფონი მასპინძლობდა. „იმერულ დერბის" ინტრიგა არასდროს აკლდა და ეს შეხვედრაც ორივე გუნდისთვის პრინციპული იყო. პირველ წრეში „ტორპედომ" მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **გიორგი დათუნაიშვილის** ერთადერთი გოლის წყალობით შეძლო „ზესტაფონის" დამარცხება. საერთოდაც, ბოლო ტურებამდე ქუთაისური გუნდი უფრო სტაბილურად გამოიყურებოდა, ვიდრე მისი მეტოქე, „ტორპედო" ლიდერ „დინამოს" კარგა ხანს ედგა კვალშიც, მაგრამ „ზუგდიდთან" და თბილისის „დინამოსთან" დაკარგული ქულების შემდეგ მეორე ადგილი გორის „დილას" გადაულოცა. სამაგიეროდ, ბოლო დროს „ზესტაფონმა" გააუმჯობესა თამაში და „იმერულ დერბისაც" საკმაოდ დაიმედებული ხვდებოდა. მასპინძლების საწუხარი ის იყო, რომ დისკვალიფიკაციის გამო ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი **თორნიკე აფციაური** აკლდათ. **გია გეგუჩაძემ** კი, თუ არ ჩავთვლით **ლექსო კვახაძის** არყოფნას, (რომელიც, როგორც ამბობენ, მწვრთნელთან უთანხმოების გამო გუნდიდან დაითხოვეს), მოედანზე ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა. ქუთაისელებს დისკვალიფიკაციამოხდილი **ნიკა საბანაძე** დაუბრუნდათ, ვისაც ტორპედოელთა შეტევითი პოტენციალი უნდა გაეზარდა. შეხვედრა საშუალო ტემპში, ურთიერთდაზვერვით დაიწყო. მცირეოდენ უპირატესობას სტუმრები ფლობდნენ, მაგრამ პირველად მეკარის სიმშვიდე **თორნიკე გორგიაშვილმა** დაარღვია, რომლის არც თუ ისე ძლიერ დარტყმას **ომარ მიგინეიშვილი** იოლად დაეუფლა. გეგუჩაძის შეგირდები მოედნის ცენტრში კარგად მოქმედებდნენ და საწყის წუთებში მეტოქეზე მეტად ფლობდნენ ბურთს, მაგრამ სახიფათო შეტევების ორგანიზებას ვერ ახერხებდნენ. ზესტაფონელთაგან ყველაზე აქტიურები **თემურ ლონლაძე** და **ბოტი გოა** იყვნენ. კოტდივუარელი ლეგიონერი მცველებს დაძაბულობაში ამყოფებდა, ლონლაძე კი მარჯვენა ფლანგზე ნავარდობდა. მე-17 წუთზე მისი სახიფათო შეტევის შემდეგ მიგინეიშვილს რომ არ ემარჯვა, ანგარიში ადრევე გაიხსნებოდა. „ტორპედომ" მწვავე შეტევებით უპასუხა, ჯერ **გრიგოლ დოლიძე** გავიდა მეკარესთან პირისპირ და **როინ კვასხვაძისთვის** ბურთის თავზე გადაგდება მოინდომა, მაგრამ ზესტაფონელთა კიპერი მიუხვდა და ბურთს კარგად დაუხვდა, მომდევნო იერიშისას კი **გიორგი კაჭკაჭიშვილის** დახმარებით მასთან პირისპირ მყოფ **გიორგი ბერიაშვილს** აართვა ბურთი. სამაგიეროდ, მასპინძლებმა თავისი შანსი ხელიდან აღარ გაუშვეს, **პატრიკ მილხრაუმის** დარტყმისას ბურთი ერთ-ერთ ტორპედოელს საჯარიმოში ხელზე მოხვდა, სანამ გულშემატკივრები მსაჯისგან პენალტს ითხოვდნენ, ბურთი გორგიაშვილს მიუვიდა და საჯარიმოს გარედან მიგინეიშვილს აუღებელი დაურტყა. ზესტაფონელთა გოლის შემდეგ ტაიმის ბოლომდე საინტერესო არაფერი მომხდარა, სტუმრები ანგარიშის გათანაბრებას ცდილობდნენ, მაგრამ ზესტაფონელები დაცვაში უშეცდომოდ მოქმედებდნენ და ტორპედოელებს თავიანთ საჯარიმოში შესვლის საშუალებას არ აძლევდნენ. თავის მხრივ კი ფეროელები კონტრშეტევებით ცდილობდნენ ანგარიშის გაზრდას, თუმცა ორი ეპიზოდისას ბოტი გოას უადგილო „ჟონგლიორობის" მეტს თავადაც ვერაფერს გამორჩნენ.



გამარჯვების გოლი თორნიკე გორგიაშვილმა გაიტანა

შესვენების შემდეგ ზესტაფონელებს კვლავ მიეცათ თავის გამოჩენის შანსი, **ალექსი ბენაშვილის** ძლიერი დარტყმა მიგინეიშვილმა იქვე კარის წინ მოიგერია, მაგრამ ბოტი გოას მცველებმა დაასწრეს და მდგომარეობა განმუხტეს. მომდევნო ეპიზოდისას ლონლაძის ფლანგური ჩაწოდებას მილხრაუმი თავით ვერ „გამოეხმაურა" და ტორპედოელები კვლავ გადარჩნენ. იქამდე სტუმრებსაც ჰქონდათ მომენტი, როცა **ელგუჯა გრიგალაშვილის** დარტყმის მერე ბურთი მცველს მოხვდა და კარს მცირედით აცდა. გია გეგუჩაძემ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ორმაგ შეცვლას მიმართა, კუხიანიძისა და დოლიძის ნაცვლად მან თამაშში **ვალერი ბოლქვაძე** და **ბექა ტულუში** ჩართო. ეს გეგუჩაძის მხრიდან ფაქტობრივად ვა-ბანკზე წასვლას ნიშნავდა, „ტორპედო" უკვე სამი ფორვარდით უტევდა. თუმცა, სანამ ქუთაისლები რაიმე ღირებულს შექმნიდნენ, მასპინძლებს კიდევ ერთხელ მიეცათ გოლის გატანის შანსი. შესანიშნავად ითამაშა მილხრაუმმა, რომელიც ორ მეტოქეს გასცდა და მეკარის ბაქანთან ბოტი გოას უპასა, კოტდივუარელმა უხეიროდ დაარტყა. ცოტა ხანში კი ზესტაფონელები თავად გადაურჩნენ გოლს: ბოლქვაძის ფლანგური ჩაწოდებისა და ელგუჯა გრიგალაშვილის თავური დარტყმის შემდეგ მასპინძლები ძელმა იხსნა. ამას ბოლქვაძის სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, კვასხვაძე გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ მდგომარეობა თავადვე განმუხტა და **გიორგი გურულს** კარში დარტყმის საშუალება არ მისცა. გია გეგუჩაძის შეგირდებმა ბოლო წუთები შეტევაში გაატარეს, მაგრამ მასპინძლებმა თავი კარგად დაიცვეს და „იმერულ დერბიში" რევანში აიღეს.

**მატჩის შემდეგ**

**გია გეგუჩაძე**(ტორპედო): „რთული და საინტერესო მატჩი იყო, სანამ გოლს გავუშვებდით, კარგი მომენტები გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, შემდეგ კი დაუწერელი საფეხბურთო კანონი „ვერ გაიტან, გაგიტანენ" ამოქმედდა. იძულებული გავხდით, მთელი ძალებით შეგვეტია, მაგრამ ზესტაფონელებმა დაცვაში უშეცდომოდ ითამაშეს და გათანაბრება ვერ მოვახერხეთ. ვფიქრობ, თამაშიდან გამომდინარე შედეგი კანონზომიერი იყო."

**დავით მუჯირი**(ზესტაფონი): „როგორც ველოდით, ძალიან რთული მატჩი გამოდგა. ჩვენი შანსი კარგად გამოვიყენეთ, შემდეგ კი დაცვაშიც უშეცდომოდ ვითამაშეთ და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ. ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია ზედა ექვსეულში დავიმკვიდროთ ადგილი."

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

# შესაშური და დამაჯერებელი

11.11. [illegible]. 800 მაყურებელი

ჩიხურა 4
ვიტ ჯორჯია 0

1:0 კასრაძე (4. საკუთარ კარში), 2:0 ოდიკაძე (35. პენალტით), 3:0 შარაშენიძე (83,) 4:0 დეკანოიძე (84)

| ჩიხურა | ვიტ-ჯორჯია |
| --- | --- |
| სომხიშვილი | დაუშვილი |
| ოდიკაძე | ღიბრაძე |
| ბერიანიძე | კასრაძე |
| საჯაია | გეთიაშვილი |
| ჩიკვაიძე | გოგიაშვილი |
| დილმელაშვილი | ჯავაშვილი |
| ლომაშვილი | ვასაძე |
| ნ. კვასხვაძე | გურეშიძე |
| კირკიტაძე | დავლაშელიძე |
| დეკანოიძე | კორიფაძე |
| შარაშენიძე | ჩიმაკაძე |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| ს. ფრუიძე | მ. კოჭლაშვილი |

**ჩიხურა**

36. კვასხვაძე – **ნ. მაისურაძე**
75. კირკიტაძე – **ბაკურაძე**

*სათადარიგოები: მწყერაშვილი, ძამსაშვილი, ზაბახიძე, მუმლაძე, მურველაშვილი*

**ვიტ ჯორჯია**

69. ჩიმაკაძე – **გაბრიჭიძე**
50. გურეშიძე – **ლობჟანიძე**
84 ვასაძე – **ჯულელი**

*სათადარიგოები: რეჭია, ტუტუნაშვილი, კალანდია, უბილავა*

გაფრთხილება: დაუშვილი, კორიფაძე

არბიტრი: გ. ვადაჭკორია

წინა ტურში „დილასთან" „შერცხვენილმა" „ჩიხურამ" ჯავრი „ვიტ ჯორჯიაზე" იყარა. პირველი წუთებიდანვე ისე შეუქმნა საგოლე მომენტები, რომ იტყვიან, სალმის დამთავრებაც არ აცალა. თუმცა **კირკიტაძისა და ოდიკაძის** დარტყმებს თავგანწირვით გადაეღობენ მცველები. მალე მათ კიდევ ერთხელ განმუხტეს მდგომარეობა მასპინძლების მწვავე სამსვლიანი კომბინაციის შემდეგ. მე-4 წუთზე **დავით დილმელაშვილმა** ჩააწოდა საჯარიმოში და რაც ვერ მოახერხეს „ჩიხურას" თავდამსხმელებმა, „მოახერხა"... მეტოქის მცველმა - **ლაშა კასრაძემ** თავით საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი.

ავტოგოლმა სულ დააბნია ისედაც „აჭრილი" ვიტჯორჯიელები და, თუ ანგარიში კატასტროფულად არ გაიზარდა, ამას ჩიხურელთა უზუსტობას უნდა უმადლოდნენ.

„ჩიხურა" ისეთი მიზანსწრაფვითა და სიმწვავით განაგრძობდა შეტევებს, რომ მეორე გოლი გარდაუვალი უნდა ყოფილიყო. ასეც მოხდა 34-ე წუთზე, როცა მთელი მატჩის განმავლობაში ბრწყინვალედ მოთამაშე **ბესიკ დეკანოიძე** გასცდა ორ მცველს, შემდეგ – მეკარესაც, ხოლო ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა, წესის დარღვევით შეეჩერებინა, რისთვისაც პენალტთან ერთად ყვითელი ბარათიც „გამოიმუშავა". **დავით ოდიკაძე** კი, როგორც ყოველთვის, თავდაჯერებული იყო: ჩვეული ზუსტი დარტყმით კარის მარჯვენა კუთხეში მიუჩინა ბურთს ადგილი – 2:0.

37-ე და 41-ე წუთებზე დავით კირკიტაძე ვალდებული იყო, გაეტანა, მაგრამ... მეორე ტაიმი უფრო საინტერესო იყო იმ გაგებით, რომ თამაშს „ცალკარა" აღარ ეთქმოდა, თუმცა მომენტს მომენტზე მაინც საჩხერლები ქმნიდნენ. 50-ე წუთზე კვლავ უშედეგო გამოდგა კირკიტაძის რეიდი; 73-ე წუთზე **ნიკოლოზ მაისურაძის** დარტყმული გაჭრილებით მოიგერია მეკარემ კუთხურზე; 75-ე წუთზე დილმელაშვილს უმტყუნა მცირედით მიზანმა; ერთი წუთის შემდეგ ისევ დეკანოიძე და ისევ **ნიკა დაუშვილის** ჩინებული თამაში; 77-ე წუთზე სტუმრები შეძლებდნენ ერთი ბურთის გაქვითვას, **ლობჟანიძეს** რომ გამოეყენებინა მატჩში ერთადერთი რეალური მომენტი; 84-ე წუთზე დეკანოიძემ მაინც მოიმკო მოსამკელი: მცველების „დახმარებით" ნახევრად წაქცეულმა ისეთი დარტყმა მოახერხა, რომ მეკარეს იოტისოდენა შანსიც კი არ დაუტოვა.

**თამაზ ლაშხი,**
საჩხერე

# პირველი ზავი

11.11. მარტვილი. ცენტრალური 1000 მაყურებელი

მერანი 0
მეტალურგი 0

| მერანი 4-2-3-1 | მეტალურგი 4-1-3-2 |
| --- | --- |
| შეროზია | ბათიაშვილი |
| გეგეჭკორი | ჯაფარიძე |
| გ. ჟვანია | მახვილაძე |
| ქარქუზაშვილი | ინწკირველი |
| მელიავა | სუხიაშვილი |
| დიდავა | რაზმაძე |
| ბუაია | ქავთარაძე |
| ფონიავა | ი. მაისურაძე |
| ტორონჯაძე | გენაძე |
| რეხვიაშვილი | სიხარულიძე |
| კუჭუხიძე | ტატანაშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი: |
| მ.ჟვანია | გ. ყიფიანი |

**მერანი**

28. დიდავა - **ნ. ნოზაძე**
60. რეხვიაშვილი - **ს. ლომია**
86. ტორონჯაძე - **ამბროლაძე**

*სათადარიგოები: ბერია, იობაშვილი, მჭედლიშვილი, კიკალიშვილი*

**მეტალურგი**

63. ქავთარაძე- **დობროვოლსკი**
73. ტატანაშვილი - **გ. მიქაბერიძე**
85. მაისურაძე - **გავაშელიშვილი**

*სათადარიგოები: ბედიაშვილი, კაკუშაძე, ხიდეშელი, ხაბელაშვილი*

გაფრთხილება: ჯაფარიძე (15), ფონიავა (68), მახვილაძე (70), მელიავა (75), გავაშელიშვილი (90).

არბიტრი: ლ. სილაგავა

რამდენიმე წარუმატებელი მატჩის შემდეგ, „მერანმა" ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა, ამჯერად საშინაო შეხვედრაში ქვეყნის ვიცე-ჩემპიონთან. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მერანელებმა ქულა აართვეს ქვემოქართლელებს. ამ ტურამდე, ამ გუნდებს შორის გამართული ხუთი შეხვედრიდან, ხუთივე რუსთაველთა გამარჯვებით დასრულდა. ამიტომაც, „მერანის" ამოცანა გასაგები, მაგრამ არცთუ მარტივი იყო: ისინი დადებითი შედეგისათვის იბრძოლებდნენ. „მერანმა" ვერც ამჯერად მოიგო, თუმცა ვერ ვიტყვით არ იბრძოლეს-მეთქი, ისინი მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში მეტოქეზე უკეთესად გამოიყურებოდნენ, თუმცა გამარჯვების გოლის გატანა ვერა და ვერ მოახერხეს. მთლიანობაში კი, დაფიქსირებულ შედეგს არაკანონზომიერი, ალბათ, არ ეთქმის, რადგან მატჩი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობა და ორივე გუნდს შეეძლო ამ თამაშის მათთვის სასურველი ანგარიშით დასრულება.

პირველი ტაიმში განსაკუთრებული სანახაობა ნამდვილად არ გვინახავს. შიგადაშიგ რამდენიმე დასამახსოვრებელი ეპიზოდი მაინც შეიქმნა. თავდაპირველად მასპინძლებმა შეუტიეს, ჯერ **მამუკა ტორონჯაძის** სახიფათოდ ჩამოწოდებულ ბურთზე დროული რეაგირება ვერ მოახდინა **ლაშა კუჭუხიძემ,** მოგვიანებით კი, **პაპუნა ფონიავას** დარტყმულს გადაეღობნენ მცველები. ამას მოჰყვა სამწუხარო ფაქტიც: **გივი დიდავა,** რომელიც უკვე გახდა ეროვნული ჩემპიონატის რეკორდსმენი ჩატარებული მატჩების რაოდენობით, **ლუკა რაზმაძესთან** ორთაბრძოლისას დაშავდა, სამედიცინო პერსონალის დახმარებით მან მოედანი ნაადრევად დატოვა. ჯერჯერობით უცნობია, დიდავა შეძლებს თუ არა მომავალ ტურში თამაშს.

ტაიმის შუანელს, სტუმრებიც გამოფხიზლდნენ: 28-ე წუთზე **ირაკლი მაისურაძის** ძლიერად დარტყმულზე კარგი რეაგირება მოახდინა **ჯონი შეროზიამ** და გადაარჩინა თავისიანები. ორიოდე წუთში სტუმართაგან აქტიურმა **რევაზ გენაძემ დიმიტრი ტატანაშვილს** უპასა, თუმცა ამ უკანასკნელს დარტყმა არაზუსტი გამოუვიდა, აღსანიშნავია, იმავე გენაძის სახიფათოდ შესრულებული საჯარიმო. ერთხელაც რაზმაძემ გაისროლა ეფექტურად, თუმცა მისი დარტყმული მცირე მანძილით აცდა მოწინააღმდეგის კარს. შესვენებამდე მარცხენა ფრთაზე ექსმერანელი **ანზორ სუხიაშვილი** გააქტიურდა, რომლის ჩაწოდებულსაც **ირაკლი სიხარულიძე** გამოეხმაურა, მისი თავური ოდნაც უზუსტო გამოდგა.

თუ პირველ ტაიმში გარკვეულ უპირატესობას „მეტალურგი" ფლობდა, მეორეში „მერანიც" გააქტიურდა და თამაშიც უფრო საინტერესოდ წარიმართა. ტაიმის განახლებისთანავე პაპუნა ფონიავა ორჯერ დაემუქრა **ზურაბ ბათიაშვილის** კარს: მისი შორეული დარტყმა არაზუსტი გამოდგა, შემდეგ კი დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, თუმცა საეჭვო ეპიზოდში მსაჯებმა თამაშგარე დააფიქსირეს. გულხელდაკრეფილი არც სტუმრები ყოფილან: კუთხურიდან ჩამოწოდებულს **ალექსანდრე ინწკირველი** გამოეხმაურა, რომელმაც თავით ბურთს მიმართულება შეუცვალა, თუმცა მომენტი მათთვის უშედეგოდ დასრულდა.

ამის შემდეგ, ტემპმაც იმატა და დაძაბულობამაც. „მერანი" გოლის გასატანად გაიწია: **მამუკა ტორონჯაძის** ჩამოწოდებული კუთხურის შედეგად, სახიფათო სიტუაცია შეიქმნა და ბურთი **გიგა ჟვანიას** მიუვიდა, თუმცა მისი თავური ძლიერი ვერ გამოდგა. დროის მოკლე პერიოდში რუსთაველებმაც უპასუხეს მასპინძლებს და მწვავედაც: შეცვლაზე შემოსულმა **დენის დობროვოლსკიმ** სოლორეიდი განახორციელა, რის შემდეგაც დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, დაარტყა კიდეც, თუმცა მარტვილელები ძელმა იხსნა. ვთქვათ ისიც, რომ რევაზ გენაძის სტანდარტულზე ჩინებულად ითამაშა ჯონი შეროზიამ. და მაინც, მერანელებს ბოლოსკენ მიეცათ გატანის შესანიშნავი შანსი: **კიჭი მელიავას** ჩამოწოდებულ ბურთს, ლაშა კუჭუხიძემ შეუცვალა მიმართულება. ბათიაშვილმა საოცარი რეაქცია გამოავლინა და ნახტომში თავისი გუნდი აშკარა გოლისაგან იხსნა. ზედ სასტვენამდე იყო ერთობ სადავო მომენტიც: რუსთაველ მცველებთან ორთაბრძოლაში მასპინძელთა ნახევარმცველი **გიგა ამბროლაძე** საჯარიმოში წაიქცა (ვთქვათ ისიც,რომ მატჩის მთავარი არბიტრი ლევან სილაგავა მთელ რიგ ეპიზოდებში საკამათო გადაწყვეტილებებს იღებდა), ადგილობრივი გულშემატკივრები პენალტს ითხოვდნენ, თუმცა ამაოდ.

საბოლოოდ ნულოვანი ფრე, რომელმაც სატურნირო ცხრილში ამ გუნდებისთვის არაფერი შეცვალა. თუ ასე გაგრძელდა, სავარაუდოდ, რუსთაველებს მომავალი წლიდან ქვედა ექვსეულში ჩამოქვეითება არ აცდებათ.

**ბესიკ გვაზავა**
მარტვილიდან

ქართული ფეხბურთი

სავარაუდო ტრანსფერი

# ზვიად ქანთარია: დინამოდან დინამოში



თბილისის "დინამოსა" და საქართველოს ასაკობრივი ნაკრებების (U-17, U-19) ყოფილმა თავდამსხმელმა **ზვიად ქანთარიამ** ბელარუსის უმაღლესი ლიგის ბრესტის "დინამოსთან" წინასწარი კონტრაქტი გააფორმა.

22 წლის თავდამსხმელი თბილისის "დინამოს" გაზრდილია. გუნდში დებიუტი **დუშან უჰრინი**-უფროსის დროს 17 წლის ასაკში ჰქონდა. ჩეხი სპეციალისტი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ მერე კლუბში ურთიერთობები ვერ აეწყო და "დინამო" 2011 წლის მაისში დატოვა. ამის შემდეგ **გია გეგუჩაძე** "ზესტაფონში" იწვევდა, მაგრამ სათამაშო პრაქტიკის არმქონემ, დროებით უფრო სუსტ გუნდში თამაში ამჯობინა და ცხინვალის "სპარტაკში" გადავიდა.

სამწუხაროდ, ტრავმის გამო, ის სეზონი გაუცდა და უგუნდოდ დარჩა— ბელარუსში ქანთარია ერთწლიანი უთამაშებლობის შემდეგ ჩავიდა.

*"საფეხბურთო წრეებში კარგად ცნობილი პიროვნება, რომან შონია დამიკავშირდა და ბელარუსში წასვლა შემომთავაზა. თავდაპირველად "მინსკის" ვარიანტი იყო, მაგრამ ბრესტის "დინამოში" ამოვჩნდი. 8-დან 27 ოქტომბრამდე ვვარჯიშობდი. ბელარუსები ტექნიკით არ გამოირჩევიან, მაგრამ ფიზიკურად კარგად არიან მომზადებულები. იქაური ვარჯიშები მეც ძალიან წამადგა. თავიდან, წელიწადზე მეტი ხნის უთამაშებელს ფორმის აკრეფა გამიჭირდა, რადგან ბელარუსში დიდი დატვირთვებია. თუმცა, ამ 20 დღეში უკეთ ავთამაშდი და ვგრძნობდი, ფორმას ვიბრუნებდი.*

*ახალგაზრდული და ძალიან მეგობრული გუნდი დამხვდა. რუსული ნორმალურად ვიცი და არ გამჭირვებია. მაგრამ მთავარი მაინც უჩა გოგოლაძის ფაქტორი იყო, რომელიც გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია. კარგად დამხვდა, დამეხმარა და თავის გამოჩენა გამიადვილა - უმისოდ უცხო გარემოში გამიჭირდებოდა.*

*13 ოქტომბერს პირველი შეხვედრა ჩავატარე: ბრესტში ლუცკის "ვოლინი" ჩამოვიდა. "გაგრას" ყოფილმა თავდამსხმელმა ოვონიკოკომაც ითამაშა. ძალიან თბილად მომიკითხა, მისით კმაყოფილები არიან. იმ მატჩში გოლი არ გამიტანია, მაგრამ ჩემი დატოვება სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტეს. წინასწარი, ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს. 9 იანვარს ბრესტის "დინამოს" ანთალიაში შეკრებაზე გავყვები, 1 თებერვლამდე კი ხელშეკრულებას ოფიციალურად გავაფორმებ. დარჩენა ახლაც შეიძლებოდა, მაგრამ განაცხადში შესაყვან ლეგიონერზე გადასახადია დაწესებული და ფინანსურად გამართლებული არ იქნებოდა. სხვათა შორის, ბრესტში რამდენიმე ქართველს უთამაშია – გია კვარაცხელიას, ზაზა ჭელიძეს, გია თოდუას,"* – ამბობს ქანთარია.

28 ტურის შემდეგ, ბელარუსის 11-გუნდიან ჩემპიონატში "დინამო" 26 ქულით მე-10 ადგილზეა. ბრესტელებმა 10 ნოემბერს კონკურენტ "ნაფტანთან" 0:1 წააგეს და ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მხოლოდ 1 ქულით უსწრებენ ჟოდინოს "ტორპედოს". მაგრამ ახალგაზრდა ფეხბურთელს ეს არ აშინებს: *"დარწმუნებული ვარ, უმაღლეს ლიგაში ადგილს შეინარჩუნებს. და თუ ასე არ მოხდა, კონტრაქტს აღარ გავაფორმებ – ბელარუსის პირველ ლიგაში ლეგიონერის აყვანის უფლება არ აქვთ. "დინამოს" ფინანსური პრობლემებიც ჰქონდა. გოგოლაძემ მითხრა, ასეთი რამ პირველად ხდება, მაგრამ ყველაფერს აგვარებენო".*

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი. ეროვნული ჩემპიონატი

# იბერია: მოგებით და ბენატის გარეშე

10 ნოემბერს ფუტსალში საქართველოს XX ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო. 6 გუნდი სამ წრედ ითამაშებს, ჩემპიონი კი მაისში გაირკვევა.

სპორტკომპლექს "არენაში" შეკრებილმა მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა ბევრი გოლი იხილა. პირველად ერთმანეთის ეროვნული ნაკრების მოქმედი (**ავთანდილ ასათიანი**) და ყოფილი მწვრთნელის (**პეტრე თაბუკაშვილი**) კლუბები, "თელასი" და GIEC დაუპირისპირდნენ - მატჩი პირველის გამარჯვებით, 4:0 დასრულდა.

ტურის ცენტრალურ შეხვედრაში ჩემპიონმა, "იბერია სტარმა" თასის მფლობელს, თსუ-ს 7:4 მოუგო. ჩემპიონი თავიდანვე დაწინაურდა, მაგრამ პირველი ტაიმი 3:3 დასრულდა და მატჩს ინტრიგა შეუნარჩუნდა. შესვენების შემდეგ უეფას თასის ოთხთა ფინალის მონაწილე "იბერიამ" უკეთ ითამაშა და სამბურთიანი სხვაობით გაიმარჯვა. აქვე გეტყვით, რომ **სერჟიო ბენატის** ნაცვლად, საქართველოს მოქმედი ჩემპიონი სასპარეზოდ **ალიკ სარქისიანმა** გაიყვანა. ბენატი ბრაზილიაშია და თბილისში მალე დაბრუნდება. უნდა ითქვას, რომ თამაშმა იმედები გაამართლა და გამარჯვებულმაც და წაგებულმაც მოედანი აპლოდისმენტებით დატოვეს.

ბოლო მატჩში "სოკარმა" თელაველი სტუდენტები 13:3 გაანადგურა. მენავთობეების გუნდს სათავეში უდგანან **რევაზ ალექსიძე** და **დავით სოლოღაშვილი**, რომელთაც ქართული ფუტსალის ეროვნული ნაკრების ღირსება არაერთხელ, თანაც წარმატებით დაუცავთ.

პირველი წრის მე-2 ტური მომავალ შაბათს, 17 ნოემბერს კვლავ "არენაში" გაიმართება.

**მერაბ მამულაშვილი**



სერჟიო ბენატი თბილისში მალე დაბრუნდება

ლეგიონის უქმეები



ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკის გულშემატკივარმა ჯანოს ამგვარად თანაუგრძნეს

# უფერული ფონი ეგვიპტის წინ

საქართველო-ეგვიპტის მოახლოებული ამხანაგური მატჩის წინ ქართველი ლეგიონერების თამაში ერთიორად საინტერესო იყო, თუმცა სამწუხაროდ, გასული უქმეები მათთვის დიდად წარმატებული ვერ გამოდგა. იმედია, საკლუბო თემას თვით საქართველოს ნაკრები გადაგვავიწყებს და პოზიტიური შედეგით გაგვახარებს.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის გასული ტურის დასკვნითი მატჩი დღეს გაიმართება და იმედია, **ნიკოლოზ გელაშვილი** "ბოხუმის" 18-კაციან განაცხადს დაუბრუნდება და მოედანზე **ალექსანდრე იაშვილთან** ერთად ვიხილავთ. **ლევან კობიაშვილის** "ჰერტა" კი "ბოხუმისგან" განსხვავებით, წარმატებით ასპარეზობს და არ არის გამორიცხული, ვეტერანი ქართველი მომავალი სეზონიდან კვლავ ვიხილოთ პირველ ბუნდესლიგაში. შეგახსენებთ, კობიაშვილი დისკვალიფიკაციით მიმდინარე წლის ბოლომდეა დასჯილი.

შეგახსენებთ, გელაშვილს, იაშვილსა და კობიაშვილს საქართველოს ნაკრებთან შეხება არ აქვთ, მომავალში კი ჩვენს ეროვნულ გუნდში მხოლოდ გელაშვილის ხილვის ალბათობა არსებობს.

სამწუხაროდ, კვლავაც აკლია სათამაშო პრაქტიკა საქართველოს ნაკრებისა და იტალიური "ემპოლის" ფორვარდ **ლევან მჭედლიძეს,** რომელიც ბოლო დროს თავისი გუნდის განაცხადში აღარ ჩანს. სამაგიეროდ, მოედანზე ეპიზოდურად ჩნდება მისი თანამემამულე და ასევე თავდამსხმელი **ირაკლი შეყილაძე**. თავად "ემპოლის" საქმე არცთუ სახარბიელოდ მისდის – ჯერჯერობით, მხოლოდ სერია B-ში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის.

**გიორგი მაკარიძემ** ტრავმა მოიშუშა, მაგრამ ჯერ მხოლოდ "ლე მანის" სათადარიგოთა სკამზე ჯდომას სჯერდება. იმედია, ქართველ მეკარეს მიმდინარე სეზონში დებიუტი სულ მალე ექნება.

"ვიტესმა" ამსტერდამში "აიაქსის" დამარცხების შემდეგ არანაკლებ პრინციპული შეხვედრა ჩაატარა – "ტვენტეს" უმასპინძლა და 0:0-ს დასჯერდა. ამ მატჩის შედეგის მიუხედავად, არნემელები მესამე ადგილზე დარჩებოდნენ, მაგრამ პირველ-მეორეადგილოსნებთან, "აიაქსსა" და "ტვენტესთან" უფრო მცირე ჩამორჩენა ექნებოდათ. უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ბოლო "ვიტესის" შემადგენლობაში სამი ქართველიდან მხოლოდ გუნდის კაპიტანი **გურამ კაშია** თამაშობს.

უკრაინული პრემიერლიგის თითქმის ყველა ტურში ჩვენთვის ღირსშესანიშნავი მოვლენები ხდება ხოლმე, მაგრამ ამჯერად იქ მოასპარეზე ქართველებმა პირადი მონაგარი ვერაფრით გაიმდიდრეს და ვერც მათმა კლუბებმა იმარჯვეს. გამონაკლისი მხოლოდ **უჩა ლობჟანიძის** "კრივბასია".

ჩვენთვის პოზიტიური არც რუსეთში მომხდარა რამე. **ჯანო ანანიძემ** "კრასნოდართან" საშინაო მატჩი მამის გარდაცვალების გამო გამოტოვა. ეს სამწუხარო ამბავი მას "სპარტაკის" ფანებმა ბანერით მიუსამძიმრეს (იხ. ფოტო). ვიმედოვნებთ, ჯანო ტრაგედიას ვაჟკაცურად გაუმკლავდება და მისი კარიერა აღმავალი გზით გაგრძელდება. "კრასნოდარის" ძირითად შემადგენლობაში უკვე საკმაო ხანია, **ნუკრი რევიშვილმა** ადგილი დაკარგა. მოედანზე არც მისი თანაგუნდელი **ალექსანდრე ამისულაშვილი** ყოფილა.

თურქეთში **ზურაბ ხიზანიშვილის** "ქაისერისფორმა" დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია და ამაში წარმატება ქართველმაც შეიტანა, **შოთა არველაძის** მიერ გაწვრთნილი "ქაშიმფაშა" კი შინ "ანთალიასფორს" 1:1 დაუზავდა. აღსანიშნავია, რომ "ქაშიმფაშამ" მეტოქეს ქულა მატჩის უკანასკნელ წამებზე გამოჰგლიჯა.

დანიურმა "ორჰუსმა" პარასკევს ითამაშა და ამ მატჩის შესახებ, სადაც **დავით დევდარიანი** გააძევეს, უკვე გიამბეთ. გოლებს მივეჩვიეთ პოლონეთში მოასპარეზე ქართველებისგან, **ლადო დვალიშვილისა** და **ნიკა ძალამიძისგან**, თუმცა თანამემამულეთა მსგავსად, გასულ უქმეებზე არც მათ გაუტანიათ.

მოახლოებულ სანაკრებო მატჩებთან დაკავშირებით აზერბაიჯანის ჩემპიონატში შესვენება გამოცხადდა. იქაური პრემიერლიგა 17 ნოემბერს განახლდება. შეგახსენებთ, პირველ მეორე ადგილს აზერბაიჯანში ქართველი სპეციალისტების მიერ გაწვრთნილი გუნდები ლიდერობენ. **კახა ცხადაძის** "ინტერისა" და **გიორგი ჩიხრაძის** "სიმურგის" ანგარიშზე 20-20 ქულაა, თუმცა "ინტერს" კონკურენტზე ერთი მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართული ლეგიონის მონაგარის ცხრილი იხილეთ მე-5 გვერდზე




შოთა გრიგალაშვილი (მარჯვნივ) მოსკოვის დინამოს წინააღმდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლეგიონის უქმეები

| ფეხბურთელი | ას | კლ | მეტ | ანგ | შენ | სტატ |
|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. II ბუნდესლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | 34 | ბოხუმი | სტ. პაული | (გ) | დღეს | 12 თ |
| ნიკოლოზ გელაშვილი | 27 | ბოხუმი | სტ. პაული | (გ) | | 6 თ |
| ლევან კობიაშვილი | 35 | ჰერტა | ზანდჰაუზენი | 6:1 (გ) | არ უთამ., დისკვ. | 0 თ |
| **იტალია. სერია ბ. XIV ტური** | | | | | | |
| ლევან მჭედლიძე | 22 | ემპოლი | კროტონე | 2:3 (გ) | არ უთამ. | 5 თ |
| ირაკლი შეყილაძე | 20 | ემპოლი | კროტონე | 2:3 (გ) | 81-ე წთ-დან | 5 თ |
| **საფრანგეთი. ლიგა 2. XIV ტური** | | | | | | |
| გიორგი მაკარიძე | 22 | ლე მანი | ისტრი | 0:1 (გ) | არ უთამ., სათ | 0 თ |
| **უკრაინა. პრემიერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| ჯაბა კანკავა | 26 | დნიპრო | ილიჩევეცი | 0:0 (გ) | 46-ე წთ-დან | 14 თ, 2 გ. |
| ალექსა. კობახიძე | 25 | არსენალი | ჩერნომ. | 0:1 (შ) | 57-ე წთ-დან | 14 თ, 1 გ. |
| დავით თარგამაძე | 23 | ილიჩევ. | დნიპრო | 0:0 (შ) | 90-ე წთ-მდე | 14 თ, 1 გ. |
| თორ. ოქრიაშვილი | 20 | ილიჩევ. | დნიპრო | 0:0 (შ) | 90 წთ | 14 თ, 1 გ. |
| ჯაბა ლიპარტია | 24 | ზარია | ტავრია | 0:1 (გ) | 36-ე წთ-დან | 14 თ, 1 გ. |
| უჩა ლობჟანიძე | 25 | კრივბასი | ვოლინი | 1:0 (შ) | 90 წთ | 14 თ. |
| ბუბა დაუშვილი | 23 | კარპატი | მეტალ. | 1:2 (გ) | 62-ე წთ-მდე | 9 თ. |
| ლევან ყენია | 21 | კარპატი | მეტალ. | 1:2 (გ) | 62-ე წთ-მდე | 7 თ, 1 გ. |
| **ჰოლანდია. ერედივიზიე. XII ტური** | | | | | | |
| გურამ კაშია | 25 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (შ) | 90 წთ | 12 თ. |
| გიორგი ჭანტურია | 19 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (შ) | არ უთამ. | 1 თ. |
| ვაკო ქაზაიშვილი | 19 | ვიტესი | ტვენტე | 0:0 (შ) | არ უთამ. | 0 თ. |
| **რუსეთი. პრემიერლიგა. XV ტური** | | | | | | |
| ჯანო ანანიძე | 20 | სპარტაკი | კრასნოდ. | 2:0 (შ) | არ უთამ. | 9 თ, 2 გ. |
| ნუკრი რევიშვილი | 25 | კრასნოდ. | სპარტაკი | 0:2 (გ) | არ უთამ., სათ | 4 თ. |
| ალექს. ამისულაშვილი | 30 | კრასნოდ. | სპარტაკი | 0:2 (გ) | არ უთამ. | 13 თ. |
| შოთა გრიგალაშვილი | 26 | ალანია | დინამო | 0:2 (გ) | 90 წთ | 7 თ. |
| გია გრიგალავა | 23 | ვოლგა | ზენიტი | 1:2 (შ) | 90 წთ | 14 თ, 1 გ. |
| **თურქეთი. სუპერლიგა. XI ტური** | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | 31 | კაისერი | ელაზიგი | 4:0 (გ) | 90 წთ | 7 თ. |
| **რუმინეთი. ლიგა I. XV ტური** | | | | | | |
| აკაკი ხუბუტია | 26 | გაზ მეთ. | იაში | 0:1 (შ) | არ უთამ. | 7 თ. |
| **დანია. სუპერლიგა. XVI ტური** | | | | | | |
| დავით დევდარიანი | 24 | ორჰუსი | ჰორსენსი | 0:2 (გ) | 81 წთ, გაძ. | 12 თ, 3 გ. |
| დავით სხირტლაძე | 19 | ორჰუსი | ჰორსენსი | 0:2 (გ) | არ უთამ. | 8 თ, 1 გ. |
| მათე ვაწაძე | 23 | ორჰუსი | ჰორსენსი | 0:2 (გ) | 58-ე წთ-მდე | 5 თ, 1 გ. |
| **პოლონეთი. ეკსტრაკლასა. XI ტური** | | | | | | |
| ლადო დვალიშვილი | 26 | პოლონია | ბიელსკო | 1:0 (გ) | 90 წთ, გაფრთ. | 11 თ, 4 გ. |
| ნიკა ძალამიძე | 20 | იაგელონ. | ლეგია | 2:1 (გ) | 86-ე წთ-მდე, გაფრთ. | 11 თ, 3 გ. |
| **აზერბაიჯანი. პრემიერლიგა. XIII ტური** | | | | | | |
| გიორგი ლომაია | 33 | ინტერი | თურანი | (შ) | 18 ნოემბერს | 8 თ. |
| რევაზ თევდორაძე | 24 | ინტერი | თურანი | (შ) | | 2 თ. |
| ვალერი აბრამიძე | 32 | ინტერი | თურანი | (შ) | | 3 თ. |
| ილია კანდელაკი | 30 | ინტერი | თურანი | (შ) | | 7 თ. |
| გიორგი ადამია | 31 | ინტერი | თურანი | (შ) | | 4 თ, 1 გ. |
| ბაჩანა ცხადაძე | 24 | ინტერი | თურანი | (შ) | | 7 თ, 3 გ. |
| გიორგი ფოფხაძე | 25 | ბაქო | ხაზარი | (შ) | | 5 თ. |
| ნუგზარ კვირტია | 28 | თურანი | ინტერი | (ს) | | 5 თ. |
| ირაკლი ბერაია | 28 | თურანი | ინტერი | (ს) | | 7 თ. |
| გოგი ფიფია | 27 | თურანი | ინტერი | (ს) | | 8 თ, 2 გ. |

## საფრანგეთი. ლიგა 1. XII ტური

# ჩემპიონმა პსჟ შეაჩერა

**ნანსი-რენი 1:3**

გოლები: 0:1 ერდინჩი (21), 1:1 ზენკე (50), 1:2 ალესანდრინი (74), 1:3 პიტროიპა (84).

**ლილი-ბრესტი 1:0**

გოლი: 1:0 კალუ (45).

**სტ. ეტიენი-ტრუა 2:0**

გოლები: 1:0 კოადი (47), 2:0 ობამეიანი (88).

**ბასტია-ვალანსიენი 2:3**

გოლები: 0:1 კადირი (32), 1:1 მოდესტი (40-პენ), 2:1 პალმიერი (62), 2:2 კადირი (78), 2:3 დოსევი (80).

**რეიმსი-ევიანი 1:2**

გოლები: 0:1 ბერიგო (18), 0:2 ადნანი (53), 1:2 კამბონი (73-საკ. კარში).

**ტულუზი-აიაჩო 2:4**

გოლები: 1:0 ლიპენი (4-საკ. კარში), 1:1 სამარიტანო (16), 1:2 ბელგაზუანი (34), 1:3 ს. დიარა (67), 2:3 აბდენური (67), 2:4 ბელგაზუანი (90).

**მარსელი-ნიცა 2:2**

გოლები: 1:0 ა. აიუ (40), 1:1 ცვიტანიჩი (51), 2:1 ვალბუენა (68), 2:2 აბრიელი (88).

**ლორიანი-ბორდო 0:4**

გოლები: 0:1 ჟუსი (19), 0:2 ობრანიაკი (33), 0:3 საივე (53), 0:4 გუფრანი (58).

**სოშო-ლიონი 1:1**

გოლი: 0:1 გონალონი (24), 1:1 პრივატი (71)

**მონპელიე-პსჟ 1:1**

გოლები: 0:1 მაქსველი (37), 1:1 კაბელია (60)

გაძევება: სახო (10. პსჟ), ბელჰანდა (65. მონპელიე)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 12 | 6 | 5 | 1 | 18-8 | 23 |
| 2. მარსელი | 11 | 7 | 2 | 2 | 16-10 | 23 |
| 3. ლიონი | 11 | 6 | 4 | 1 | 20-11 | 22 |
| 4. სენტ ეტიენი | 12 | 6 | 3 | 3 | 21-8 | 21 |
| 5. ვალანსიენი | 12 | 6 | 3 | 3 | 26-14 | 21 |
| 6. ბორდო | 12 | 5 | 6 | 1 | 17-10 | 21 |
| 7. ლილი | 12 | 5 | 5 | 2 | 16-12 | 20 |
| 8. ტულუზი | 12 | 5 | 4 | 3 | 20-15 | 19 |
| 9. რენი | 12 | 6 | 1 | 5 | 16-15 | 19 |
| 10. რეიმსი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-11 | 15 |
| 11. ლორიანი | 12 | 3 | 6 | 3 | 19-25 | 15 |
| 12. აიაჩო* | 12 | 4 | 4 | 4 | 14-17 | 14 |
| 13. ბასტია | 12 | 4 | 2 | 6 | 19-29 | 14 |
| 14. მონპელიე | 12 | 3 | 4 | 5 | 17-17 | 13 |
| 15. ნიცა | 12 | 2 | 7 | 3 | 17-19 | 13 |
| 16. ბრესტი | 12 | 4 | 1 | 7 | 11-18 | 13 |
| 17. ევიანი | 12 | 3 | 2 | 7 | 13-20 | 11 |
| 18. სოშო | 12 | 3 | 2 | 7 | 12-19 | 11 |
| 19. ტრუა | 12 | 1 | 4 | 7 | 11-22 | 7 |
| 20. ნანსი | 12 | 1 | 2 | 9 | 5-21 | 5 |

შენიშვნა: "აიაჩოს" – 2 ქულა

ბომბარდირები: 10 – იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 8 – ობამეიანი (სენტ ეტიენი); 7 – ბენ იედერი (ტულუზი); 6 – ერდინჩი (რენი).



აიაქსი ზეიმობს

**წუხელ, ტურის ცენტრალურ მატჩში ჩემპიონმა „მონპელიემ" „პარი სენ ჟერმენს" უმასპინძლა. გუნდებმა 10-10 კაცით დაასრულეს შეხვედრა, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა - 1:1.**

ლიგა 1-ის XII ტური "ნანსი"-"რენის" მატჩით დაიწყო, რომელიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. მორიგი გოლი გაიტანა **მევლუთ ერდინჩმა**, რომელსაც უკვე 6 გატანილი ბურთი დაუგროვდა. თურქი ძალიან კარგ ფორმაშია – ბოლო 5 შეხვედრაში თავი 4-ჯერ გამოიჩინა და ბომბარდირთა დავაშიც გამოჩნდა.

ტურის მთავარი მატჩები კვირას გაიმართა და მარსელში სენსაციაც დაფიქსირდა. "ოლიმპიკმა", რომელიც ამ შეხვედრამდე პირველობის პოტენციური ლიდერი იყო, საკუთარ მოედანზე "ნიცა" ვერ დაამარცხა. მასპინძლები ორჯერ, **ანდრე აიუს** და **მატიო ვალბუენას** გოლებით იგებდნენ, მაგრამ "ნიცამ" ანგარიში ორივე შემთხვევაში გაათანაბრა. სტუმართა მხრიდან მეორე გოლი **ფაბრის აბრიელმა** გაიტანა, რომელიც "მარსელში" წლების განმავლობაში თამაშობდა. აბრიელისთვის ეს 2009 წლის 17 ოქტომბრიდან მოყოლებული, პირველი გოლი იყო. მაშინ "ოლიმპიკის" რიგებში მოთამაშე ფეხბურთელმა"ნანსის" გაუტანა.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა "ბორდომ" და ჩემპიონობისთვის მებრძოლთა მარაქაში გაერია. **ფრანსის ჟილოს** გუნდი შესანიშნავ ფორმაშია – ჟირონდელებს ლიგა 1-ის ბოლო 19 შეხვედრაში მხოლოდ 1 მარცხი აქვთ განცდილი. "ლორიანმა" კი შესანიშნავი სტარტის შემდეგ, ზედიზედ მეშვიდე მოუგებელი მატჩი ჩაატარა და ცოტა ხნის წინ მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდი, უკვე ცხრილის მეორე ნახევარშია.



მონპელიე-პსჟ

## ჰოლანდია.

ერედივიზიე. XII ტური.

**ბრედა-გრონინგენი 0:1**

გოლი: 0:1 დე ლეუვი (81).

**ვაალვიკი-უტრეხტი 4:0**

გოლები: 1:0 შევალიე (5), 2:0 ჯოზეფზოონი (74), 3:0 ნაჯაჰი (76), 4:0 დუიტსი (83).

**ვენლო-ვილემ II 4:1**

გოლები: 1:0 სეიპი (27), 2:0 კულენი (47), 3:0 ლინსენი (53), 4:0 ტიურკი (72). 4:1 მისიდჯანი (74).

**დენ ჰააგი-ალკმაარი 2:2**

გოლები: 0:1 ფალკენბურგი (22), 1:1 ვისენტო (34), 2:1 ჰოლა (47-პენ), 2:2 ალტიდორი (64).

**ნაიმეგენი-ჰერაკლესი 3:2**

გოლები: 1:0 ტენ ვოორდი (24), 1:1 არმენტეროსი (48), 1:2 არმენტეროსი (56), 2:2 ჯორჯი (71), 3:2 ტენ ვოორდი (76).

**ფეიენოორდი-როდა 5:2**

გოლები: 1:0 პელე (1), 1:1 მალკი (12), 2:1 პელე (25), 3:1 იმერსი (35), 3:2 ბიემანსი (40), 4:2 კლასი (54), 5:2 იანმაატი (73).

**ზვოლე-აიაქსი 2:4**

გოლები: 0:1 ალდერვეირელდი (12), 0:2 ფიშერი (32), 0:3 ფიშერი (48), 0:4 ს. დე იონგი (76), 1:4 ავდიჩი (81), 2:4 დროსტი (83).

**პსვ-ჰერენვენი 5:1**

გოლები: 0:1 დე რიდერი (6), 1:1 ნარსინგი (23), 2:1 მერტენსი (52), 3:1 ვაინალდუმი (62), 4:1 მატავჟი (83), 5:1 მატავჟი (86).

**ვიტესი-ტვენტე 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 12 | 10 | 0 | 2 | 42-10 | 30 |
| 2. ტვენტე | 12 | 9 | 2 | 1 | 24-6 | 29 |
| 3. ვიტესი | 12 | 7 | 4 | 1 | 21-9 | 25 |
| 4. აიაქსი | 12 | 5 | 6 | 1 | 29-16 | 21 |
| 5. ფეიენოორდი | 12 | 6 | 3 | 3 | 23-18 | 21 |
| 6. უტრეხტი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-13 | 21 |
| 7. ნაიმეგენი | 12 | 5 | 4 | 3 | 19-20 | 19 |
| 8. დენ ჰააგი | 12 | 3 | 7 | 2 | 21-17 | 16 |
| 9. ჰერაკლესი | 12 | 3 | 5 | 4 | 24-25 | 14 |
| 10. გრონინგენი | 12 | 4 | 2 | 6 | 13-22 | 14 |
| 11. ვაალვიკი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-17 | 13 |
| 12. ალკმაარი | 12 | 3 | 4 | 5 | 19-23 | 13 |
| 13. ჰერენვენი | 12 | 3 | 4 | 5 | 18-24 | 13 |
| 14. ბრედა | 12 | 3 | 2 | 7 | 11-23 | 11 |
| 15. როდა | 12 | 2 | 4 | 6 | 12-21 | 10 |
| 16. ვენლო | 12 | 2 | 3 | 7 | 16-30 | 9 |
| 17. ზვოლე | 12 | 2 | 2 | 8 | 10-23 | 8 |
| 18. ვილემ II | 12 | 1 | 3 | 8 | 9-28 | 6 |

ბომბარდირები: 12 – ბონი (ვიტესი); 9 – ალტიდორი (ალკმაარი), ფინბოგასონი (ჰერენვენი); 7 – შევალიე (ვაალვიკი), გურიე (ჰერაკლესი), ჰოლა (დენ ჰააგი), იმერსი (ფეიენოორდი), მატავჟი (პსვ ეინდჰოვენი).

ტატო ბაციკაძე

## იტალიის ნაკრები

# პრანდელიმ დე როსი დასაჯა

**ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელების გვარები დაასახელა, რომლებსაც საფრანგეთთან ამხანაგურ შეხვედრაში დაეყრდნობა. აღსანიშნავია, რომ რომაულ დერბიში არასპორტული საქციელისთვის მიღებული წითელი ბარათის გამო, "სკუადრა აძურას" მწვრთნელმა **დანიელე დე როსი** განაცხადს მიღმა დატოვა. მატჩი 15 ნოემბერს პარმაში, "სტადიო ენიო ტარდინიზე" გაიმართება.

**მეკარეები:** ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მორგან დე სანქტისი (ნაპოლი), სალვატორე სირიგუ (პსჟ, საფრანგეთი), ემილიანო ვივიანო (ფიორენტინა).

**მცველები:** დავიდე ასტორი (კალიარი), ფედერიკო ბალცარეტი (რომა), ანდრეა ბარცალი (იუვენტუსი), ლეონარდო ბონუჩი (იუვენტუსი), ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი), დომენიკო კრიშიტო (ზენიტი, რუსეთი), კრისტიან მაჯო (ნაპოლი), დავიდე სანტონი (ნიუკასლი, ინგლისი).

**ნახევარმცველები:** ანტონიო კანდრევა (ლაციო), ალესანდრო დიამანტი (ბოლონია), ალესანდრო ფლორენცი (რომა), ემანუელე ჯაკერინი (იუვენტუსი), კლაუდიო მარკიზიო (იუვენტუსი), რიკარდო მონტოლივო (მილანი), ანდრეა პირლო (იუვენტუსი), მარკო ვერატი (პსჟ, საფრანგეთი).

**თავდამსხმელები:** მარიო ბალოტელი (მან. სიტი, ინგლისი), მატია დესტრო (რომა), სტეფან ელ შაარავი (მილანი), სებასტიან ჯოვინკო (იუვენტუსი), პაბლო დანიელ ოსვალდო (რომა).

ლაშა ნიკლაური

## უცხოური ფეხბური

### ● გერმანია. ბუნდესლიგა. XI ტური



# მეათე მოგება და ერთგული რიბერი

## ფრანგმა, ბაიერნი ჩემთვის საფრანგეთის ნაკრებზე მნიშვნელოვანიაო...

ანტრახტთან ანგარიში ფრანკ რიბერიმ გახსნა

**შაბათის ნომერში ვწერდით, რომ „ბაიერნი" „აინტრახტის" რეალურ შესაძლებლობებს დაგვანახებდა და ასეც მოხდა: ფრანკფურტული კლუბი კარგი გუნდია, მაგრამ არა იმდენად, რომ ძლევამოსილი „რეკორდმაისტერის" თუნდაც არასერიოზულ კონკურენტად მივიჩნიოთ. არმინ ფეეს სიმპათიური გუნდი მიუნხენში 0:2 დამარცხდა. დორტმუნდის „ბორუსიამ" აუგსბურგში მოლოდინისამებრ იოლად მოიგო, „შალკემ" კი „ვერდერთან" 0:1 (პირველი ტაიმის შედეგი) 2:1-ად გადააქცია.**

### ერთგული რიბერი და სადაო პენალტი

„ლილთან" გასეირნების შემდეგ (6:1) „ბაიერნის" ფეხბურთელებს „აინტრახტთან" ტურის ცენტრალურ მატჩში შრომა მოუხდათ და მხოლოდ 2:0 იმარჯვეს. ეს ბავარიული გრანდისთვის მე-11 შეხვედრაში მე-10 გამარჯვება გახლდათ - „ბაიერნი" ჯერჯერობით თავისი არსებობის ისტორიაში საუკეთესო სეზონს ატარებს. ისევე, როგორც წინა მატჩებში, მიუნხენელთაგან განსაკუთრებით კარგი ამჯერადაც **ფრანკ რიბერი** გახლდათ, რომელმაც მატჩის შემდეგ რეკორდმაისტერს სამუდამო ერთგულება აღუთქვა.

*„ექვსი წელია „ბაიერნში" ვთამაშობ და თავს აქ ისე ვგრძნობ, როგორც თევზი წყალში. ბედნიერი ვარ, „ბაიერნის" ფორმით ფეხბურთის თამაში ძალიან მსიამოვნებს და ეს ყველაფერი ჩემთვის თვით საფრანგეთის ნაკრებზე მნიშვნელოვანია,"* - ჩასძახა რიბერიმ ტელეკომპანია „სქაის" მიკროფონს და საინტერესოა, რა რეაქცია ექნება ამაზე საფეხბურთო საფრანგეთს. თავდაჯერებული „აინტრახტი" სწორედ რიბერის გოლმა გატეხა.

*„ფრანკფურტელებმა მთელი 90 წუთის განმავლობაში საკმაოდ კარგი გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ჩვენ კი ყველა შეხვედრაში 6 გოლს ვერ გავიტანთ,"* - ეს ბავარიელთა თავკაც **იუპ ჰაინკესის** სიტყვებია.

რეკორდმაისტერისთვის ცუდი მხოლოდ ის იყო, რომ პირველ ტაიმში **ჟერომ ბოატენგი** დაშავდა, რომელიც ბელგიელმა მცველმა **დანიელ ვან ბუიტენმა** შეცვალა.

„ბაიერნს" უფრო დიდი სხვაობით მოგებაც შეეძლო, მაგრამ ძალიან კარგად თამაშობდა „აინტრახტის" მეკარე **კევინ ტრაპი**. ამავდროულად, ერთ მომენტში რეკორდმაისტერსაც გაუმართლა - 50-ე წუთზე **ანდერსონის** თავური დარტყმის შემდეგ ბურთი **ნოიერის** კარის ძელს მოხვდა. „ბაიერნის" მეორე გოლი მატჩის შემდეგ განსჯის საგანი გახდა: ერთნი ამბობდნენ, პენალტი, რომელიც **ალაბამ** გაიტანა, არ უნდა დანიშნულიყოო. მომენტის გმირმა **შვაინშტაიგერმა** კი (თერთმეტმეტრიანი სწორედ მან მოიპოვა) ასეთი რამ თქვა: *„დემიდოვის ხელი მკერდში მომხვდა, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ პენალტი აუცილებლად დასანიშნი იყო. სხვამხრივ, მინდა ვთქვა, რომ წლებია, ასეთი ძლიერი „აინტრახტი" არ მინახავს."*

ფრანკფურტელთა თავკაცმა **არმინ ფეემ** მატჩის შემდეგ თავისი მეკარე აქო: *„კევინი ძალიან კარგ ფორმაშია და ვფიქრობ, გერმანიის ნაკრებში გამოძახებას იმსახურებდა. გასაგებია, რომ იოახიმ ლიოვს დიდი არჩევანი აქვს, მაგრამ ვფიქრობ, რომ დღესდღეობით საუკეთესო გერმანელი მეკარეები რენე ადლერი და ტრაპი არიან."* აქვე გეტყვით, რომ მიუნხენში ჩასული 6 655 ფრანკფურტელი ფანიდან 500 პროტესტის ნიშნად სტადიონს მილმა დარჩა. მათი თქმით, „ალიანს არენაზე" შესვლისას შეურაცხმყოფელი კონტროლი იყო - თითქმის გაგვაშიშვლესო.

### შალკემ ვერდერი დაატრიალა

„შალკეს" ფეხბურთელები თამაშების შემოტრიალების ოსტატობას ეუფლებიან: „არსენალთან" 2:2-ის (0:2-ს აგებდნენ) შემდეგ, გელზენკირხენელებმა „ვერდერთან" პირველი ტაიმი 0:1 წააგეს (**აარონ ჰანტმა** მიმდინარე სეზონში მე-6 გოლი გაიტანა), მეორე ტაიმში კი თამაში თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს. ანგარიში გერმანიის ნაკრებში გამოძახებით ფრთაშესხმულმა **რომან ნოიშტედტერმა** გაათანაბრა, „ვერდერის" კარში გატანილი მეორე გოლი კი **იულიან დრაქსლერის** ანგარიშზეა, რომელიც შეცვლაზე შევიდა და რომელიც ასევე ბუნდესგუნდშია გამოძახებული. თუმცა მსაჯის მიერ დამატებულ მეოთხე წუთზე ბრემენელები წონასწორობის აღდგენასთან ძალიან ახლოს იყვნენ: **გებრე სელასიეს** თავური დარტყმის შემდეგ **ლუის ჰოლტბიმ** ბურთი კარის ხაზიდან გამოიტანა.

### ლევანდოვსკის დუბლი და პრობლემები

დორტმუნდის „ბორუსიამ" მადრიდის (2:2 „რეალთან") მერე აუგსბურგში ითამაშა და კულტურული შოკი კი მიიღო, მაგრამ მაინც იოლად მოიგო (3:1). დორტმუნდელთა გოლეადორმა **რობერტ ლევანდოვსკიმ** დუბლი შეასრულა. მატჩის შემდეგ მთელი საფეხბურთო გერმანია პოლონელ თავდამსხმელზე ლაპარაკობდა - ოღონდ, არა მის გოლებზე, არამედ მის მრჩევლებზე. ლევანდოვსკის „დორტმუნდთან" კონტრაქტი 2014 წლამდე აქვს გაფორმებული და მისი აგენტები **მაიკ ბართელი** და **ჩეზარი კუხარსკი** ცდილობენ, რობერტი სხვა გრანდში გადაიყვანონ. რამდენიმე დღის წინ კუხარსკიმ თქვა, ეს ლევანდოვსკისთვის „დორტმუნდში" ბოლო სეზონი იქნებაო.

შაბათს, „აუგსბურგთან" მატჩის შემდეგ „ბორუსიას" მენეჯერ **მიხაელ ცორკს** მოთმინების ფიალა აევსო და პირდაპირ ეთერში დასჭექა, მოლაყბე მრჩევლების ყველა განცხადებაზე კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებო. ალსანიშნავია, რომ „დორტმუნდის" ბოსებს ეს აგენტები დიდი ხანია, გულზე არ ეხატებათ. საინტერესოა, რას ამბობს თვითონ თავდამსხმელი: *„ორივე მხარე ბევრს ლაპარაკობს და ეს ყველაფერი უკვე მომბეზრდა. მე თვითონაც არ ვიცი, ვინ რა და როდის თქვა."*

რატომ ცდილობენ აგენტები ლევანდოვსკის სხვა გუნდში გადაყვანას? მიზეზი მარტივია: პოლონელი „ბორუსიაში" 2010 წელს გადავიდა და მაშინ „დორტმუნდმა" „ლეხს" მის სანაცვლოდ 4.75 მილიონი ევრო გადაუხადა. მას მერე რობერტმა ბუნდესლიგის 77 მატჩში 35 გოლი გაიტანა და დღეს მისი ფასი 25 მილიონი ევროა.

### გოლიანი და უგოლო ფრეები

შაბათსვე, „ფორტუნა" და „ჰოფენჰაიმი" დიუსელდორფში ფრეზე (1:1) გაიყარნენ. მასპინძლები **ტიმ ვიზეს** შეცდომის წყალობით, მალევე დაწინაურდნენ. „სოფლელების" ესპანელმა თავდამსხმელმა **ხოსელუმ** ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრა. მერე „ჰოფეს" მცველი **კომპერი** მოედნიდან გააძევეს, რამაც თამაშის ჩაკეტვა გამოიწვია და ხეირი ვერცერთმა გუნდმა ვეღარ ნახა. ფრაიბურგში „ჰამბურგი" უფრო ადრე დარჩა კაცნაკლული (ჩრდილოელებს „ალვირახსნილი" ავსტრიელი მცველი **შარნერი** გაუგდეს), რის შემდეგაც მედგარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ ორივე გუნდის კარი შეუბღალავი დარჩა.

### უხვგოლიანი კვირადღე

გუშინ სამი მატჩი გაიმართა და სამივე უხვგოლიანი გამოდგა. „ვოლფსბურგმა" საკუთარ მოედანზე ამ სეზონში პირველი მატჩი მოიგო – „მგლებმა" **დიეგოს** დუბლითა და **ბას დოსტის** გოლით ბოლო დროს კარგ ფორმაში მყოფი „ლევერკუზენი" დაამარცხეს. მოგვიანებით კი ორივე მატჩი 2:4 დასრულდა: „ჰანოვერმა" შტუტგარტიდან წაიღო სამი ქულა, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" კი – ფიურტიდან. აღსანიშნავია, რომ „ჰანოვერმაც" და „გლადბახმაც" პირველი ტაიმები წააგეს და მერე მატჩები თავიანთ სასარგებლოდ შეატრიალეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

#### მომდევნო ტური

**17 ნოემბერი.** ბორუსია (დ)-ფიურტი, ბორუსია (მ)-შტუტგარტი, ჰანოვერი-ფრაიბურგი, ნიურნბერგი-ბაიერნი, ჰამბურგი-მაინცი, აინტრახტი-აუგსბურგი, ლევერკუზენი-შალკე.

**18 ნოემბერი.** ვერდერი-ფორტუნა, ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი

### თურქეთი

სუპერლიგა. XI ტური

**სივასი-ესქიშეჰირი 1:0**

გოლი: 1:0 რაინოხი (15)

**ბეშიქთაში-ბურსა 3:3**

გოლები: 0:1 შესტაკი (28), 1:1 შაჰანი (52), 2:1 ჰოლოშკო (55), 2:2 ოზთურქი (59), 3:2 უგო ალმეიდა (67-პენ), 3:3 ბატალია (76)

**კასიმფაშა-ანთალია 1:1**

გოლები: 0:1 აისატი (77-პენ), 1:1 უჩე (90-პენ)

**ტრაბზონი-ახიშარი 3:1**

გოლები: 1:0 მიერჟეიევსკი (3), 2:0 ემერსონი (6), 2:1 ბრუნო მეზენგა (52), 3:1 მიერჟეიევსკი (77)

**ქარაბიუქი-ბუიუქშეჰირი 3:1**

ნამატჩევს **ლაშა ფარლალავამ** აღნიშნა, რომ „არმია" ევროჩელენჯისთვის ემზადება და იმ სტრატეგიით თამაშობს, როგორითაც უცხოურ გუნდებს უნდა დაუპირისპირდეს. ამიტომ, ქართული გუნდებისთვის საწყენი არ უნდა იყოს, თუ დიდი სხვაობით დაწინაურების შემდეგაც არმიელები თამაშის აგრესიულ სტილს არ ღალატობენ.

შეგახსენებთ, რომ **კოტე ტულუშის** შეგირდები ევროჩელენჯზე სამშაბათს, 18 საათზე ბელგიურ „ანტვერპენს" უმასპინძლებენ.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. შსს აკადემია | 4 | 4 | 0 | 362/267 | 8 |
| 2. ქუთაისი | 4 | 3 | 1 | 311/268 | 7 |
| 3. რუსთავი | 4 | 3 | 1 | 295/271 | 7 |
| 4. არმია | 3 | 3 | 0 | 268/145 | 6 |
| 5. ოლიმპი | 3 | 3 | 0 | 289/192 | 6 |
| 6. დინამო | 4 | 2 | 2 | 296/274 | 6 |
| 7. ბათუმი-რსუ | 4 | 1 | 3 | 256/322 | 5 |
| 8. თსუ | 4 | 1 | 3 | 237/324 | 5 |
| 9. სტუ | 4 | 0 | 4 | 226/330 | 4 |
| 10. სოხუმი | 3 | 0 | 3 | 235/272 | 3 |
| 11. სამედიცინო | 3 | 0 | 3 | 151/261 | 3 |

| | არმია | სტუ |
|---|---|---|
| | 95 | 42 |

| | I | II | III | IV |
|---|---|---|---|---|
| არმია | 29 | 26 | 29 | 11 |
| სტუ | 10 | 12 | 5 | 15 |

| არმია | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბაბიაშვილი | 13 | 3 | 1 | 2 | 5 | 0 | 10 |
| ა. ბოისა | 19 | 0 | 1 | 2 | 2 | 0 | 13 |
| ვ. ბოისა | 19 | 13 | 3 | 1 | 1 | 0 | 7 |
| უბრეხელიძე | 12 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 6 |
| მილიჯი | 18 | 3 | 5 | 1 | 4 | 0 | 7 |
| წიწნიაძე | 21 | 4 | 2 | 3 | 0 | 1 | 7 |
| შელბომი | 13 | 7 | 2 | 0 | 0 | 1 | 13 |
| საყვარელიძე | 17 | 2 | 4 | 1 | 2 | 0 | 6 |
| ფეისონი | 12 | 1 | 4 | 0 | 0 | 0 | 8 |
| შარაბიძე | 13 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 5 |
| ჯღერენაია | 16 | 8 | 2 | 3 | 0 | 1 | 8 |
| ფარლალავა | 20 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 5 |

| სტუ | წთ | მ | პ | შ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩაჩიბაია | 17 | 3 | 0 | 2 | 0 | 0 | 7 |
| კორკოტაძე | 15 | 1 | 1 | 1 | 3 | 0 | 0 |
| მინაშვილი | 15 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 4 |
| მაჩალაძე | 25 | 6 | 0 | 2 | 1 | 0 | 5 |
| პირველაშვილი | 26 | 2 | 2 | 4 | 0 | 1 | 8 |
| სულაბერიძე | 8 | 2 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| დვალიშვილი | 18 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 2 |
| შერმადინი | 9 | 2 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| კუჭავა | 13 | 1 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ძიძიგური | 14 | 0 | 0 | 2 | 0 | 0 | 0 |
| ჯანაშია | 22 | 4 | 0 | 4 | 1 | 0 | 12 |
| ქორიძე | 11 | 3 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, გურამ მიქელაძე





ქართველები NBA-ში



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შენგელიას პირველი სამქულიანი

## ფაჩულიასა და ჰასლემის არასპორტული ბრძოლა

21 წლის ქართველმა **თორნიკე შენგელიამ** NBA-ში მეორე თამაში ჩაატარა და ამჯერადაც ღირსეულად გაისარჯა. მან 7 წუთში 6 ქულა მიითვალა. თორნიკემ თითო ორქულიანი და სამიანი მცდელობიდან ორივე გამოიყენა. ეს იყო მისი პირველი სამიანი ამერიკულ ასოციაციაში.

შენგელიას „ბრუკლინმა" კი უპოვარდოდ დარჩენილ „ორლანდოს" დამაჯერებლად მოუგო - 107:68.

**ორლანდო-ბრუკლინი 68:107**

**თორნიკე შენგელია:** 7 წუთი, 6 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 3-დან 1 საჯარიმო), 2 ფოლი.

| IV პერიოდი | | |
|---|---|---|
| 6:33 | ევანსი შეცვალა | 91-57 |
| 5:56 | ორქულიანი: 2ქ | 93-57 |
| 5:56 | საჯარიმო: არაზუსტი | 93-57 |
| 4:39 | ფოლი: 1 | 93-62 |
| 2:50 | ფოლი: 2 | 98-66 |
| 1:40 | საჯარიმოები: 2/1 (3ქ) | 102-66 |
| 0:04 | სამქულიანი: 6ქ | 107-68 |

დიდი ხნის შესვენების შემდეგ **ზაზა ფაჩულიამ** სამქულიანი ისროლა, თუმცა ეს იძულებითი ქმედება იყო, რადგან მას საკუთარი ფარიდან ბურთის მოხსნის შემდეგ არჩევანი აღარ რჩებოდა, მეოთხედისთვის განკუთვნილი დრო იწურებოდა.

ზაზას „ატლანტა ჰოქსმა" ჩემპიონ „მაიამი ჰიტთან" ღირსეულად იბრძოლა, მაგრამ ბოლო მეოთხედში დამარცხდა. ფაჩულიას სათამაშო დრო შეზღუდული ჰქონდა, რაც თამაშისა და მეტოქის სტილიდან გამომდინარეობდა.

მატჩის „ჰაილაითებში" მოხვდა ერთი ეპიზოდი ზაზა ფაჩულიას მონაწილეობით. მესამე პერიოდის ბოლოს მას **ადონის ჰასლემმა** ხელი ჰკრა და პირით ხაზს მიღმა გადააგდო. საპასუხოდ ზაზამ ფეხი დაუდო და ჰასლემი წაბორძიკდა. იქვე მდგომმა მსაჯმა ქართველს ტექნიკური შენიშვნა მისცა. ეს ეპიზოდი ფაჩულიასა და ადონისის შელაპარაკებით „ჩაიფარცხა".

**ატლანტა-მაიამი 89:95**

**ზაზა ფაჩულია:** 14 წუთი, 2 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 1-დან 0 სამიანი), 4 მოხსნა, 1 პასი, 1 შეცდომა, 2 ფოლი.

| I პერიოდი | | |
|---|---|---|
| 3:51 | სმიტი შეცვალა | 16-13 |
| 2:46 | ფოლი: 1 | 19-16 |
| 1:39 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 22-19 |
| **II პერიოდი** | | |
| 11:03 | პასი: 1 (მოროუ 2ქ) | 25-27 |
| 10:48 | ფოლი: 2 | 25-27 |
| 10:12 | ჯონსონმა შეცვალა | 27-27 |
| **III პერიოდი** | | |
| 3:55 | ჰორფორდი შეცვალა | 64-62 |
| 3:21 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 64-64 |
| 1:25 | ფოლი: ტექნიკური | 68-69 |
| 0:51 | შეცდომა: 1 | 70-69 |
| 0:00 | მოხსნა: შეტ-0, დაც-3 | 72-71 |
| 0:00 | სამქულიანი: არაზუსტი | 72-71 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:00 | მოხსნა: შეტ-0, დაც-4 | 72-71 |
| 9:02 | ორქულიანი: 2ქ | 76-73 |
| 8:00 | ორქულიანი: არაზუსტი | 80-73 |
| 7:52 | სტივენსონმა შეცვალა | 81-73 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ლეგიონერები

# ლიდერების ზეობა და მარსანელთა პარიზული სენსაცია

**საფრანგეთის ჩემპიონატის მე-11 ტურის შემდეგ ქართველ მორაგბეთა ყველა გუნდმა პოზიცია შეინარჩუნა. თუმცა მოწინავე სამეულმა დანარჩენებს საგრძნობლად გაუსწრო. ამ ტურში კიდევ ერთი ღირშესანიშნავი ამბავი მოხდა - გათამაშების დებიუტანტმა, თამაზ მჭედლიძის „მონ დე მარსანმა“ პირველი გამარჯვება მოიპოვა.**


ბურთით დავით ზირაქაშვილი

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის „ტულონმა“**, რომელიც 42 ქულით გათამაშების ლიდერია, სტუმრად წააგო **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის „კლერმონთან“** - 24:21. მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, უშელავათო ბრძოლაში წარიმართა.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ იყო, თამაშს დაძაბულობა და სანახაობრივი მხარე არ მოჰკლებია. ასე, მაგალითად, „ტულონს“ უკანა ხაზში დააკლდა **ფრედერიკ მიშალაკი** და **მაქსიმ მერმოსი**, შერკინებაში კი **საიმონ შოუ, კარლ ჰეიმანი** და **კრის მასო**.

არანაკლებად შესუსტებული იყო კლერმონელების შემადგენლობაც, **ვესლი ფოფანა**, და **ტომას დომინგო** საფრანგეთის ნაკრებში იყვნენ მიწვეულნი. **ნათან ჰაინსი, ჟულიენ მალზიო** და **გერჰარდ ვოსლოო** კი ტრავმირებულნი არიან.

ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურებას ვერც ერთი გუნდი ახერხებდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა ოთხი ქულის სხვაობით 13:9 მოიგეს. შესვენების შემდეგ კი, 15 წუთში ცხრაქულიან უპირატესობას მიაღწიეს - 18:9.

ტულონელებმა ტემპს უმატეს და ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინოსის** ფეხჩუბინობის წყალობით ანგარიში 79-ე წუთზე გაათანაბრეს - 21:21. მატჩისთვის განკუთვნილი დრო ამოწურული იყო, როცა „კლერმონის“ მთავარმა მექულემ **ბრუკ ჯეიმზმა** მორიგი საჯარიმო გაიტანა და მასპინძლებს მოაგებინა - 24:21.

ქუბრიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე შეცვალეს, ზირაქაშვილი თამაშში 69-ე წუთიდან ჩაერთო, კოლელიშვილი, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

საფრანგეთის ჩემპიონმა ჯაბა ბრეგვაძისა და ვასილ კაკოვინის „ტულუზმა“, რომელიც 38 ქულით მესამე ადგილზეა, შინ მამუკა **გორგოძის, მიხეილ ნარიაშვილისა** და **გიორგი ჟღენტის „მონპელიეს“** მოუგო - 27:9.

ტულუზელებს ამ მატჩში 15 მორაგბე დააკლდათ. აქედან ნახევრაზე მეტმა თავიანთ ეროვნულ ნაკრებებში ითამაშა. ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო ამ მხრივ „მონპელიე“. მათ მხოლოდ ორი - **ფრანსუა ტრინ-დუკი** და **ფულენსე უოდაროგო** არ ჰყავდათ. თუმცა ეს ორი მოთამაშე მონპელის ლიდერები არიან და მათი არყოფნა გუნდს საგრძნობლად დაეტყო.

მონპელიელებმა მეტოქეს თანაბარი ბრძოლა მხოლოდ პირველი ტაიმის 35-ე წუთამდე გაუმართეს. ამ დროისთვის ანგარიში საყაიმო იყო - 9:9. მეორე ტაიმში „ტულუზის“ უპირატესობა იმდენად საგრძნობი გახდა, რომ სტუმართა გუნდმა მონაგარს ველარაფერი შემატა.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ნარიაშვილი მოედანზე 50-ე წუთიდან გამოჩნდა, ჟღენტი, კაკოვინი და ბრეგვაძე განაცხადში არ იყვნენ.

**ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრმა“ სტუმრად უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა „ბორდოსთან“ 16:13 და სატურნირო ცხრილში „მონპელიეს“ გაუსწრო. ჩვენებურის გუნდს, მიუხედავად იმისა, რომ ლიდერთა შორისაა, სტუმრად თამაში უჭირს. ასე იყო ამჯერადაც.

მატჩის პირველი ნახევარი ფრედ 10:10 დასრულდა. ბორდოელებმა შესვენების შემდეგ მხოლოდ ერთი საჯარიმოს გატანა მოახერხეს, რაზეც სტუმრებმა ორით უპასუხეს. ამათგან ერთი, ცხრა ნომერმა **რორი კოქოთმა** მატჩის ბოლო წუთზე გაიტანა - 16:13.

ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 64-ე წუთზე შეცვალეს.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“ შინ დაამარცხა „აჟენი“ 20:13 და ახლა 24 ქულით მე-8 ადგილზეა. მეტოქის დამარცხება ჩვენებურის გუნდს ძალიან გაუჭირდა, რადგან მათ დააკლდათ ნაკრებში მიწვეულები **პასკალ პაპე** (საფრანგეთის), **სერჯო პარისე** (იტალიის), **ფელიპე კონტეპომი** (არგენტინის) და აშშ-ს ნაკებში გამოძახებული **სკოტ ლა ვილა.**

პარიზელებმა, რომლებიც კრიზისს თავს ნელ-ნელა აღწევენ, პირველი ტაიმი 6:8 წააგეს. მასპინძლებმა შესვენების შემდეგ მაინც შეძლეს მატჩში გარდატეხის შეტანა და ჰაერივით საჭირო გამარჯვების მოპოვება. ჟვანია განაცხადში არ იყო.

სენსაციურად დამთავრდა მატჩი პარიზში, სადაც პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლმა „მეტრო რასინგმა“ მინიმალური სხვაობით წააგო ჩემპიონატის დებიუტანტთან და აუტსაიდერთან, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანთან“ - 16:17.

პარიზელებმა პირველი ტაიმი შვიდი ქულის სხვაობით 13:6 მოიგეს და თითქოს საფრთხე არსაიდან ემუქრებოდათ. თუმცა ჩვენებურის გუნდმა საარაკო ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნა. ჯერ, 61-ე წუთზე ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა - 14:16. მერე კი თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე, მგეზავმა **ენტონი ვინაუმ** არეკნით თავისიანებს სეზონში პირველი გამარჯვება მოუტანა. მჭედლიძეს არ უთამაშია.

### I დივიზიონი

#### XI ტური

**ტულუზი-მონპელიე 27:9, კლერმონი-ტულონი 24:21, მეტრო რასინგი-მონ დე მარსანი 16:17, სტად ფრანსე-აჟენი 20:13, გრენობლი-ბაიონი 9:6, ბორდო-კასტრი 13:16, ბიარიცი-პერპინიანი 15:3.**

#### სატურნირო მდგომარეობა

**1. ტულონი - 42 ქულა, 2. კლერმონი - 40, 3. ტულუზი - 38, 4. კასტრი - 32, 5. მონპელიე - 32, 6. გრენობლი - 30, 7. ბიარიცი - 24, 8. სტად ფრანსე - 24, 9. მეტრო რასინგი - 21, 10. პერპინიანი - 21, 11. ბაიონი - 20, 12. ბორდო - 16, 13. აჟენი - 16, 14. მონ დე მარსანი - 6.**

#### XII ტური

**მონპელიე-ბაიონი, ბიარიცი-ბორდო, პერპინიანი-აჟენი, ტულონი-გრენობლი, მონ დე მარსანი-კასტრი, ტულუზი-კლერმონი, მეტრო რასინგი-სტად ფრანსე.**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**



მამუკა გორგოძე (მარცხნივ)

მეტოქეები


ეროვნული ბიბლიოთეკა

# იაპონიამ მოიგო, ფიჯიმ წააგო

**ნოემბრის ტესტების პირველი დღის მატჩებიდან ქართველი ქომაგების განსაკუთრებულ ინტერესს ორი მატჩი იწვევდა. ჩვენი ნაკრების მომავალი მეტოქეები ფიჯისა და იაპონიის ეროვნული გუნდები, შესაბამისად, ინგლისისა და რუმინეთის ნაკრებებს დაუპირისპირდნენ.**

ამომავალი მზის ქვეყნის შვილებმა ბუქარესტში ჩვენთვის კარგად ნაცნობი რუმინელები 34:23 დაამარცხეს. ვერ ვიტყვით, რომ იაპონელებს სათამაშო უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა თვალშისაცემი იყო, რომ ისინი მასპინძელ მორაგბეებზე უფრო სწრაფად მოძრაობდნენ, ფაზებს უშეცდომოდ კინძავდნენ და გადაწყობას, როგორც შეტევაში, ისე დაცვისას დროულად ახერხებდნენ. იმდენად, რომ იქ, სადაც ბურთი იყო, იაპონელი მორაგბეები მუდამ იყვნენ რიცხობრივ უმრავლესობაში.

ერთადერთი, რაშიც სტუმრები რუმინელებს ჩამოუვარდებოდნენ, ეს შერკინებაში თამაში იყო, ოღონდ მხოლოდ სტატიკურ მდგომარეობაში. დინამიკაში „საკურები“ ბევრად განსწავლული და მობილიზებულნი ჩანდნენ. ისინი ძალიან კარგად ფლობდნენ ბურთს და ხელიდან იშვიათად უვარდებოდათ.

რუმინელებმა სცადეს მეტოქისთვის თავისი, ძალისმიერი თამაში მოეხვიათ, თუმცა ვერ შეძლეს. იაპონელები ანგარიშში თავიდანვე დაწინაურდნენ. მაგრამ 65-ე წუთისთვის მასპინძლებმა ანგარიშში სხვაობის ერთ ქულამდე შემცირება შეძლეს. თითქოს მატჩის გადარჩენის შანსი გაჩნდა, თუმცა მოულლელმა იაპონელებმა „მუხის ფოთლებს“ პრობლემები იქით შეუქმნეს. ერთხელ მოლიც კი დაუძრეს, რომელიც საჯარიმო ლელოთი დასრულდა. რუმინელთა რიგებში სრულად ითამაშა შერკინების კვაჭმა **ოთარ ტურაშვილმა.**

ფიჯის ნაკრებმა ლონდონში, „თვიქნემზე“ ინგლისის ეროვნულ გუნდთან თამაში ისე „ომახიანად“ დაიწყო, რომ ცოტა არ იყოს შევშინდით. პირველ 15 წუთში „პომები“ მეტოქის მოედნის ნახევარზე გადასვლას ვერ ახერხებდნენ. ფიჯელებმა კი დროის ამ მონაკვეთში ორი საჯარიმო ვერ გამოიყენეს.

მასპინძლებმა მალევე შეძლეს თამაშის დალაგება და საბოლოოდ მატჩი დიდი ანგარიშით 54:12 მოგეს. პომებმა მეტოქეს 7 ლელო გაუტანეს. აქედან ორ-ორი **ჩარლი შარპლისა** და **მანუ ტუილაგის** ანგარიშზეა.

ერთა თასის გათამაშებაში რუსეთის ნაკრებმა ინგლისში, ნეიტრალურ მოედანზე აშშ-ის ნაკრებთან 26:40 წააგო. ძმები **ვალერი** და **გრიგოლ ცნობილაძეები** ძირითად შემადგენლობაში იყვნენ და ორვე 49-ე წუთზე შეცვალეს.

| ინგლისი-ფიჯი | 54:12 |
|---|---|

**ინგლისი:** 15. ალექს გუდი, 14. ჩარლი შარპლი, 13. მანუ ტუილაგი, 12. ბრედ ბარიტი, 11. უგო მუნი, 10. ტობი ფლუდი, 9. დენ კერი. 1. ჯო მარლერი, 2. ტომ იანგსი, 3. დენ კოლი, 4. ტომ პალმერი, 5. გოფ პარლინგი, 6. ტომ ჯონსონი, 7. კრის რობშო, 8. ტომას ვალდრომი.

16. დევიდ პაისი, 17. მაკო ვუნიპოლა, 17. ჯო ლანჩბერი, 19. ტომ ვუდი, 20. ბენ იანგსი, 21. ოუენ ფარელი, 22. მაიკ ბრაუნი.

7ლ: შარპლსი (2), მუნი, ჯონსონი, ტუილაგი (2), საჯაიმო. 5გ: ფლუდი (4), ფარელი. 3ს: ფლუდი.

**ფიჯი:** 15. სიმელი კონიფრედი, 14. სამუვარა, 13. ვერენეკი გონევა, 12. სირელი ნაკელევუკი, 11. ვატისონი ვოტუ, 10. მეტუისელა ტალებულა, 9. ნიკოლა მატავალუ. 1. რატუ მაკუტუ, 2. ვილიამ ვეკისო, 3. დეკონ მანუ, 4. ლეონ ნაკავარა, 5. აპისოლამე რატუნიარავა, 6. აპი ნაიკატანი, 7. მალაკი რავულო, 8. აკაპუსი ქერა.

16. სერემია ნაურეურე, 17. სეტაფანო სამოსა, 18. მანასა საულო, 19. საკონია კალუ, 20. ლიესა რატუვა, 21. კელემედი ბოლა, 22. ჯოშ მატავესი.

2ლ: მატავალუ, კალუ. გ: მატავესი.

| რუმინეთი-იაპონია | 23:34 |
|---|---|

**რუმინეთი:** 15. კატალინ ფერკუ, 14. მადალინ ლემნარუ, 13. იონელ კაზანი, 12. ჩაბა გალი, 11. იონუც ბოტეზატუ, 10. ანდრეი ფილიპი, 9. ფლორინ სურუჯუ. 1. პეტრუ ტამბა, 2. ოთარ ტურაშვილი, 3. ჰორაციუ პუნგეა, 4. მარიუს სირბე, 5. ვალენტინ ურსაკე, 6. ვასილი რუსი, 7. ვიორელ ლუკაჩი, 8. მიჰაი მაკოვეი.

16. ანდრეი რადოი, 17. ვლად ბადალიჩესკუ, 18. ალინ კოსტე, 19. ალექსანდრუ მანტა, 20. გრიგორას დიაკონესკუ, 21. იონუც ფლორეა, 22. კონსატნტინ გეარა.

2ლ: ლემნარუ, საჯარიმო. 3ს: ფილიპი. 2გ: ფლორეა.

**იაპონია:** 15. აიუმუ გორომარუ, 14. ტოშიაკი ჰიროში, 13. ტომოჰირო სენბა, 12. ჰარუმიჩი ტატეკავა, 11. ჰიროტოკი ონოძავა, 10. კოსეი ონო, 9. ფუმიაკი ტანაკა. 1. იუსუკე ნაგაე, 2. შოთა ჰორიე, 3. ჰიროში იამასიტა, 4. ჰიტოში ონო, 5. ლუკ თომპსონი, 6. ჰენდრიკ ტუი, 7. მაიკლ ლიტჩი, 8. ტაკაში კიკუტანი.

16. ჰარუკი ოტა, 17. ტაკუმა ასაჰარა, 18. კენსუკე ჰატაკეიამა, 19. კოლინაისი ჰოლანი, 20. მაიკლ ბროდჰორსტი, 21. აცუში ჰივაშა, 22. იუ ტამურა.

ლ: კიკუტანი, საჯარიმო, ჰიროტოკი. 5ს: გორომარუ. 2გ: გომომარუ.

| აშშ-რუსეთი | 40:26 |
|---|---|

## რაგბი. ტესტები




# 3:1 დანინაურდნენ სამხრეთელები

**ნოემბრის ტესტების პირველ დღეს სამხრეთელებმა 3:1 მოიგეს. დედამიწის ქვედა ნახევარსფეროს ბობოლათაგან მხოლოდ ერთმა, ავსტრალიის ნაკრებმა წააგო. ახალმა ზელანდიამ, სამხრეთ აფრიკამ და უელსმა კი ევროპულ ტურნეში სტარტი წარმატებულად აიღეს.**

მსოფლიოს სარაგბო თემი უდიდესი ინტერესით ელოდა დაპირისპირებას კარდიფში, სადაც უელსის ნაკრები ოთხი ერის წლევანდელ ახალბედას არგენტინის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდა. ცხადია, ყველას აინტერესებდა, რამდენად წაადგა „პუმებს" წლეულს სამხრეთელ ბობოლებთან ორ-ორჯერ პაექრობა.

არგენტინის ნაკრებმა შესანიშნავად იასპარეზა და მეტოქე 26:12. დაამარცხა. აღსანიშნავია, რომ სტუმრებმა დაცვაში თითქმის უშეცდომოდ ითამაშეს. ეს კომპონენტი ახლა პუმების ყველაზე მძლავრი იარაღია. მასპინძელთა გუნდმა, რომელიც ევროპაში წლეულს საუკეთესოა, მეტოქეს ლელო ვერ გაუტანა. მაშინ, როცა არგენტინელებმა ორჯერ შეაღწიეს ჩათვლის მოედანში.

ავსტრალიის ნაკრებმა კი პირწმინდად წააგო სტუმრად საფრანგეთის ეროვნულ გუნდთან - 6:33. „ლე ბლო" ამ შეხვედრაში მეტოქეზე ბევრად უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა. თავად განსაჯეთ, „ვოლაბებმა" ექვსი ქულის დაგროვება 21-ე წუთზე შეძლეს და მას შემდეგ მონაგარს ველარაფერი შემატეს.

ფრანგებმა მეტოქეს სამი ლელო გაუტანეს. შესანიშნავად ითამაშა სამხრეთ აფრიკიდან სამშობლოში დაბრუნებულმა მგეზავმა **ფრედერიკ მიშალაკმა**, რომელმაც სამი გარდასახვა, ორი საჯარიმო და ერთი არეკნი გაიტანა.

დაძაბული და უშელავათო გამოდგა ირლანდიისა და სამხრეთ აფრიკის ნაკრებების დაპირისპირება დუბლინში. „სამყურებმა" მართალია პირველი ტაიმი 12:3 მოიგეს, მაგრამ მეორე ტაიმში საგრძნობლად გააქტიურებულ ბოკეს ქულები ველარ აართვეს და 12:16 დამარცხდნენ.

**საფრანგეთი- ავსტრალია 33:6**

საფრანგეთი: 15. ბრაის დულინი, 14. ვესლი ფოფანა, 13. ფლორიან ფრიცი, 12. მაქსიმ მერმოსი, 11. ვინსან კლერი, 10. ფრედერიკ მიშალაკი, 9. მაქსიმ მაშენო. 1. იანიკ ფორესტერი, 2. დიმიტრი სზარჟევსკი, 3. ნიკოლა მასი, 4. პასკალ პაპე, 5. იონ მაესტრი, 6. იანიკ ნიანგა, 7. ფულენსე უოდრაოგო, 8. ლუის პიკამოლი.

16. ბენიამინ კაიზერი, 17. ტომა დომინგო, 18. ვინსენ დებატი, 19. ჟოსელინ სუტა, 20. დამიენ შული, 21. მოგან პარა, 22. ფრანსუა ტრინ დუკი.

3ლ: პიკამოლი, ფოფანა, საჯარიმო. 3გ: მიშალაკი. 3გ: მიშალაკი (2), პარა. ა: მიშალაკი.

ავსტრალია: 15. მაიკ ჰარისი, 14. ადამ ეშლი-კუპერი, 13. ბენ ტაპუაი, 12. პეტ მაკკები, 11. ნიკ კამინსი, 10. ქართლი ბეილი, 9. ნიკ ფიპსი. 1. ბენ რობინსონი, 2. ტატაფუ პოლოტა ნაუ, 3. სეკოპე კეპუ, 4. კენ დუგლასი, 5. ნათან შარპი, 6. დეივ დენისი, 7. მაიკლ ჰუპერი, 8. ვიკლიფი პალუ.

16. სტივენ მური, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. პადი რაიანი, 19. რობ საიმონსი, 20. რადიკე სამო, 21. ლიამ გილი, 22. ბრეტ შინანი.

2ს: ჰარისი.

**უელსი-არგენტინა 12:26**

უელსი: 15. ლეიგ ჰალპფენი, 14. ალექს კატბერტი, 13. სკოტ ვილიამსი, 12. ჯიმი რობერტსი, 11. ჯორჯ ნორსი, 10. რის პრსიტლენდი, 9. ტევის კნოლი. 1. გეთინ ჯენკინსი, 2. მეტიუ რისი, 3. აარონ ჯერვისი, 4. ალუნ ვინ ჯოუნზი. 5. იან ევანსი, 6. ჯოშ ტურნბული, 7. სემ ვერბარტონი, 8. ტობი ფალეტაუ.

16. რიჩარდ ჰიბარი, 17. რაიან ბევინგტონი, 18. პაულ ჯეიმზი, 19. რობ მაკკუსკერი, 20. ჯასტინ ტიპურიჩი, 21. მაიკ ფილიპსი, 22. ჯეიმზ ჰუკი.

4ს: ჰალპფენი.

არგენტინა: 15. ხუან მარტინ ერნანდესი, 14. გონსალო კამაჩო, 13. გონსალო ტიესი, 12. ფელიპე კონტეპომი, 11. ხუან იმოფი, 10. ნიკოლას სანჩესი, 9. მარტინ ლანდაჰო. 1. მარკოს აიერზა. 2. ეუსებიო გინასუ, 3. ხუან ფიგალო, 4. მანუელ კარისა, 5. ხულიო კაბელო, 6. ლეონარდო სენატორე, 7. ხუან მანუელ ლეგუსამონი, 8. ხუან მარტინ ფერნანდეს ლობე.

16. ავგუსტინ კრევი, 17. ბრუნო პოსტილიონი, 18. ხუან გომესი, 19. ტომას ვალეხოსი, 20. ტომას ლეონარდი, 21. ნიკოლას ვერგალო, 22. ორასიო აგულა.

2ლ: იმოფი, კამაჩო. 2ს: სანჩესი, კონტეპომი. გ.ა: სანჩესი.

**ირლანდია-სამხ. აფრიკა 12:16**

ირლანდია: 15. საიმონ ზებო, 14. ტომი ბოუი, 13. ქის ირლზი, 12. გორდონ დარსი, 11. ენდრიუ ტრიმბლი, 10. ჯონათან სექსტონი, 9. კონორ მურეი. 1. კიან ჰილი, 2. რიჩარდ სტრაუსი, 3. მაიკ როსი, 4. დონჩა რაიანი, 5. მაიკ მაკკარტი, 6. პიტერ ომაჰონი, 7. კრის ჰენრი, 8. ჯიმი ჰისლიპი.

16. შონ კრონინი, 17. დეივ კილსონი, 18. მაიკლ ბენტი, 19. დონჩა ოკალაჰანი, 20. იან ჰენდერსონი, 21. ევან რიდანი, 22. რონან ოგარა.

4ს: სექსტონი.

სამხრეთ აფრიკა: 15. ზან კირხნერი, 14. ჯეი პი პიტერსენი, 13. იაკო ტაუტე, 12. იან დე ფილიერსი, 11. ფრანსუა ჰუგარი, 10. პატრიკ ლამბიე, 9. რუან პინარი. 1. ტენდაი მთავარირა, 2. ადრიან სტრაუსი, 3. იანი დუ პლესი, 4. ებენ ესტებესი, 5. ივანდერ კრუხერი, 6. ფრანსუა ლოუ, 7. ვილემ ალბერტსი, 8. დუეინ ვერმულენი.

16. სხალკ ბურხერი, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. პეტ კილიერსი, 19. ფლიპ ფან დერ მერვე, 20. მარსელ კუცია, 21. მორნი სტეინი, 22. იუან დე იონგი.

ლ: პინარი. 3ს,გ: ლამბიე.

| | |
|---|---|
| შოტლანდია-ახალი ზელანდია | 22:51 |
| იტალია-ტონგა | 28:23 |
| კანადა-სამოა | 12:42 |

**17 ნოემბერი**

უელსი-სამოა, იტალია-ახალი ზელანდია, ინგლისი-ავსტრალია, შოტლანდია-სამხრეთ აფრიკა, კანადა-რუსეთი, საფრანგეთი-არგენტინა, აშშ-ტონგა.

ბესიკ ჯანგავაძე

## კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ლეიკერსი დიდ ფილს უხმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაიკ ბრაუნის** თანამდებობიდან დათხოვნის შემდეგ, დღეისთვის ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მთავარი ინტრიგა გახლავთ „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მთავარი მწვრთნელის ვაკანტური თანამდებობა.

გუშინ, კალიფორნიული გრანდის ხელმძღვანელობამ გააკეთა ის, რასაც ყველაზე მეტად ელოდნენ ამ გუნდის გულშემატკივრები - ოფიციალური წინადადებით მიმართა NBA-ის ყველა დროის ყველაზე ტიტულოვან მწვრთნელს **ფილ ჯექსონს**.

თავიდან, „ლეიკერსის" ბოსები არ აპირებდნენ ჯექსონის მიწვევას, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალეს. *„ისინი არანორმალურებივით ცდილობენ ჯექსონთან მოლაპარაკებას"*, - განაცხადა კლუბთან დაახლოებულმა წყარომ.

როგორც იცით, „ლეიკერსს" ჯექსონის მეთაურობით ხუთჯერ აქვს მოგებული NBA-ის ჩემპიონის ტიტული.

ფილთან მოლაპარაკებების გარდა, კალიფორნიული კლუბის გენერალურმა მენეჯერმა **მიტჩ კუპჩაკმა** დაასახელა მწვრთნელების სია, რომლებიც განიხილებიან მაიკ ბრაუნის შემცვლელებად. ამ სიაში ფილ ჯექსონის გარდა შედიან: **ნეიტ მაკმილანი, ბრაიან შოუ, ჯერი სლოუნი** და **მაიკ დ'ენტონი**.

■ ■ ■

ამასობაში, „ლეიკერსმა" პირველი მატჩი ჩაატარა მაიკ ბრაუნის გარეშე და სეზონში მეორე გამარჯვებას მიაღწია. როგორც ეს ხშირად ხდება, მწვრთნელის გაშვებამ ძლიერი ემოციური მუხტი მოიტანა და „ლეიკერსმა" საკმაოდ დამაჯერებლად დაამარცხა „გოლდენ სტეიტი". თითქმის იდეალური იყო მასპინძლების თამაში დაცვაში, რის გამოც „უორიორზმა" მხოლოდ 77 ქულა დააგროვა (წინა მატჩებში ოკლენდური კლუბი მინიმუმ 92 ქულას აგროვებდა) და თამაშიდან ტყორცნების მესამედი (!) მოათავსა კალათში. გარდა ამისა, „ლეიკერსმა" ფარქვეშ ბრძოლაც მოიგო - 58:47 მოხსნებში (უფროსი **გასოლის** ანგარიშზე 16 მოხსნა იყო). და ეს იმ დროს, როცა ზედმეტი პერსონალურების გამო, **დუაიტ ჰოვარდმა** მოედანზე მხოლოდ 24 წუთი გაატარა, **კობი ბრაიანტი** კი, მისივე სიტყვებით, 100 პროცენტით არ იყო მზად სათამაშოდ. მიუხედავად ამისა, ვარსკვლავს სულ ცოტა დააკლდა სამმაგ დუბლამდე - 27 ქულა, 9 მოხსნა და 7 პასი.

■ ■ ■

ამასობაში, „ნიუ იორკ ნიქსი" კვლავაც ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდია რეგულარულ ჩემპიონატში. ლიდერი წამყვანი მოთამაშეებით დაუძლურებულ „დალასს" ხვდებოდა. „მავერიქსის" ლაზარეთში მყოფ **დირკ ნოვიცკის შონ მერიონიც** დაემატა, რის გამოც, „კოვბოების" მთავარ მწვრთნელს **რიკ კარლაილს** გარდაუვალი როტაციის განხორციელებამ მოუწია. შედეგად, სასტარტო ხუთეულში ვიხილეთ **კრაუდერი** და **რაიტი**.

დებიუტანტებმა და მათმა გამოცდილმა პარტნიორებმა „ნიქსის" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. თუმცა შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო, **კოლისონს** რვიდან შვიდი ტყორცნა რომ არ აეცილებინა, ან სასტარტოს მცველებს ერთად 12 შეცდომა რომ არ დაეგროვებინათ. ეს სამით მეტია, ვიდრე მეტოქე გუნდის მიერ საერთო ჯამში დაშვებული შეცდომების რიცხვი. ამ საშინელი სტატისტიკის მიუხედავად, საფინალო სირენამდე შვიდი წუთით ადრე, სტუმრები მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებოდნენ „ნიქსს". თუმცა **კარმელო ენტონის** შორეულმა ტყორცნამ და **ჩენდლერის** სამქულიანმა შეტევამ ისევ დაუბრუნა **ვუდსონის** გუნდს კომფორტული უპირატესობა. ამის შემდეგ, მატჩის გამარჯვებამდე მიყვანა პრობლემა არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ „ნიუ იორკის" რიგებში 18 წუთი სათამაშო დრო მიიღო დიდ კალათბურთში დაბრუნებულმა **რაშიდ უოლასმა**, რომელმაც 6-6 ქულა და მოხსნა ჩაიწერა აქტივში.

**9 ნოემბერი**

**ვაშინგტონი-მილუოკი 91:101**

**28:30, 19:26, 25:19, 19:26**

ვ: ბილი (22), არიზა (15+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პრაისი (12+6 მოხსნა+9 პასი), ოკაფორი (11+6 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ბუკერი (11).

მ: ელისი (22+5 მოხსნა+5 პასი), დანლივი (13+9 მოხსნა), სანდერსი (13+9 მოხსნა+3 დაფარება), ჯენინგსი (12+7 პასი+3 ჩაჭრა), ილიასოვა (11).

**ორლანდო-ბრუკლინი 68:107**

**17:19, 19:31, 15:25, 17:32**

ო: მური (18+5 პასი), აფლალო (12+5 მოხსნა), ვუჩევიჩი (10), ნიკოლსონი (10).

ბ: ბლეტჩი (15+9 მოხსნა), ლოპესი (14+10 მოხსნა+3 დაფარება), ჯონსონი (13), უილიამსი (12), სტეკჰაუსი (11).

**ბოსტონი-ფილადელფია 100:106**

**20:23, 25:34, 29:26, 26:23**

ბ: პირსი (24+5 პასი), გარნეტი (19+10 მოხსნა), რონდო (14+20 პასი), ტერი (13).

ფ: ტერნერი (25+11 მოხსნა), ჰოლიდეი (21+14 პასი), ტ. იანგი (15), რაიტი (15), ნ. იანგი (10).

**ნიუ იორკი-დალასი 104:94**

**25:23, 30:34, 29:21, 20:16**

ნ-ი: ენტონი (31+7 მოხსნა), სმიტი (22), ბრიუერი (13+8 მოხსნა), ჩენდლერი (11+9 მოხსნა).

დ: მაიო (23+7 მოხსნა), კარტერი (15+6 მოხსნა), კამანი (14+7 მოხსნა), რაიტი (11).

**ატლანტა-მაიამი 89:95**

**25:25, 21:17, 25:30, 18:23**

ა: ტიგი (20+11 პასი), მოროუ (17), სმიტი (13+8 მოხსნა), კორვერი (11), ჰორფორდი (10+7 მოხსნა).

მ: ბოში (24+3 ჩაჭრა), ჯეიმსი (21+11 მოხსნა+9 პასი), ალენი (17), ჩელმერსი (12), ჰასლემი (2+10 მოხსნა).

**მემფისი-ჰიუსტონი 93:85**

**17:24, 25:22, 27:22, 24:17**

მ: გეი (21+7 მოხსნა), რენდოლფი (15+14 მოხსნა+3 დაფარება), კონლი (14+3 ჩაჭრა), ბეილესი (12+3 ჩაჭრა).

ჰ: პარსონსი (19), ჰარდენი (18), ლინი (15), აშიქი (10+13 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-შარლოტი 107:99**

**24:21, 35:28, 19:20, 29:30**

ნ-ო: ანდერსონი (25+7 მოხსნა), დევისი (23+11 მოხსნა+5 დაფარება), რობერტსი (16+8 პასი), ამინუ (14+6 მოხსნა).

შ: გორდონი (34+6 მოხსნა), სეშენსი (13), კიდგილკირსტი (12+6 მოხსნა+3 დაფარება), უოკერი (11+6 პასი), ბიომბო (6+13 მოხსნა).

**ოკლაჰომა-დეტროიტი 105:94**

**18:19, 31:23, 25:27, 31:25**

ო: დურანტი (25+13 მოხსნა), იბაკა (25+7 მოხსნა+3 დაფარება), მარტინი (16+3 ჩაჭრა), მეინორი (13), უესტბრუკი (10+6 პასი).

დ: დრამონდი (22+8 მოხსნა), პრინსი (16+6 მოხსნა), სტაკი (15+6 პასი), მონრო (14+10 მოხსნა+6 პასი), ნაითი (11+6 მოხსნა+6 პასი).

**მინესოტა-ინდიანა 96:94**

**21:19, 21:24, 27:21, 27:30**

მ: ბადინგერი (18), უილიამსი (15), პეკოვიჩი (13+8 მოხსნა), შვედი (11+7 პასი), კანინგემი (11).

ი: ჰილი (29+7 პასი), უესტი (19+13 მოხსნა), ჯორჯი (11), ჰიბერტი (10).

**ფინიქსი-კლივლენდი 107:105**

**16:37, 33:25, 27:21, 31:22**

ფ: დრაგიჩი (26), ბრაუნი (22), ტელფეირი (13), გორტატი (12+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+5 დაფარება).

კ: უეიტერსი (23), გიბსონი (19), ირვინგი (17+8 პასი), გი (15+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ვარეჟაო (14+10 მოხსნა), ტომპსონი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**საკრამენტო-სან ანტონიო 86:97**

**27:24, 12:23, 29:22, 18:28**

საკ: ტომპსონი (17+6 მოხსნა), ტორნტონი (17), კაზინსი (14+9 მოხსნა), ტ. ევანსი (12+6 მოხსნა), ტომასი (10).

ს-ა: დანკანი (23+12 მოხსნა), მილსი (18), ლეონარდი (11+9 მოხსნა), დიაო (9+9 მოხსნა).

**დენვერი-იუტა 104:84**

**26:27, 27:11, 20:19, 31:27**

დ: ბრიუერი (20), ფარიდი (18+11 მოხსნა), კუფოსი (15+10 მოხსნა+3 დაფარება), იგუოდალა (15+7 მოხსნა), ლოუსონი (9+7 პასი+3 ჩაჭრა).

ი: ჰეივორდი (15), კანტერი (13+6 მოხსნა), ფოიე (13), მილსეპი (11), ფეივორსი (10+11 მოხსნა+5 დაფარება), ჯეფერსონი (4+11 მოხსნა).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 101:77**

**23:22, 24:16, 25:17, 29:22**

ლ: ბრაიანტი (27+9 მოხსნა+7 პასი), გასოლი (14+16 მოხსნა), ჰილი (14), უორლდ პისი (10+7 მოხსნა), მორისი (10+5 პასი).

გ-ს: კარი (18+5 პასი), ტომპსონი (15), ლი (10+12 მოხსნა), ლენდრი (6+11 მოხსნა).

**10 ნოემბერი**

**ტორონტო-ფილადელფია 83:93**

**26:20, 7:32, 29:17, 21:24**

ტ: ბარნიანი (23+3 ჩაჭრა), დეროზანი (19+6 მოხსნა), კალდერონი (14+11 პასი).

ფ: ტ. იანგი (16+8 მოხსნა), ჰოლიდეი (16+5 პასი), ნ. იანგი (16), რაიტი (15+6 მოხსნა), ჰოუსი (12+11 მოხსნა), ტერნერი (8+12 მოხსნა).

**ინდიანა-ვაშინგტონი 89:85**

**23:22, 26:27, 21:23, 19:13**

ი: ჯორჯი (20+7 მოხსნა), გრინი (15+8 მოხსნა), სტივენსონი (12), უესტი (11), ჰიბერტი (7+12 მოხსნა).

ვ: ოკაფორი (17+8 მოხსნა), ბილი (17+6 მოხსნა), პრაისი (12+14 პასი), ბუკერი (10).

**შარლოტი-დალასი 101:97 (ო)**

**24:21, 20:34, 24:18, 23:18, 10:6**

შ: უოკერი (26+6 მოხსნა+7 პასი+8 ჩაჭრა), კიდგილკირსტი (25+12 მოხსნა), სეშენსი (12), გორდონი (11), მალენსი (7+14 მოხსნა).

დ: მაიო (22), კარტერი (19+3 ჩაჭრა), კოლისონი (14+6 პასი), ბრენდი (10).

**ჩიკაგო-მინესოტა 87:80**

**20:19, 20:22, 23:18, 24:21**

ჩ: რობინსონი (18), ნოა (17+7 მოხსნა), დენგი (16+7 მოხსნა), ჰემილტონი (12), ბელინელი (11).

მ: პეკოვიჩი (18+8 მოხსნა), კანინგემი (14), კირილენკო (11+12 მოხსნა+7 პასი), რიდნური (10).

**ჰიუსტონი-დეტროიტი 96:82**

**20:15, 27:26, 25:16, 24:25**

ჰ: ჰარდენი (20), აშიქი (14+8 მოხსნა+4 ჩაჭრა), მორისი (12+8 მოხსნა), დუგლასი (11).

დ: ნაითი (16+7 პასი), პრინსი (13+6 მოხსნა), მონრო (12+11 მოხსნა).

**მილუოკი-ბოსტონი 92:96**

**22:20, 20:19, 26:25, 24:32**

მ: ელისი (32+8 პასი), დალემბერი (14+8 მოხსნა), დენიელსი (12), სანდერსი (10+12 მოხსნა), ილიასოვა (10+6 მოხსნა).

ბ: პირსი (25+9 მოხსნა), გარნეტი (18+6 მოხსნა), ტერი (15), გრინი (12), რონდო (10+10 პასი).

**იუტა-ფინიქსი 94:81**

**29:19, 21:24, 27:18, 17:20**

ი: ჯეფერსონი (27+14 მოხსნა), მილსეპი (18+13 მოხსნა), ჰეივორდი (18), მარვ. უილიამსი (13+7 მოხსნა), ფეივორსი (10+6 მოხსნა+3 დაფარება), ტინსლი (0+14 პასი).

ფ: სკოლა (21+11 მოხსნა), დადლი (16), დრაგიჩი (13+6 პასი).

**პორტლენდი-სან ანტონიო 109:112**

**26:26, 26:17, 27:30, 30:39**

პ: ბატუმი (33+7 მოხსნა), ოლდრიჯი (29+7 პასი+4 დაფარება), ლილარდი (20+6 პასი), ჰიქსონი (13+14 მოხსნა), მეტიუზი (10).

ს-ა: ნილი (27+7 მოხსნა), დანკანი (22+9 მოხსნა+3 დაფარება), ჯინობილი (17), ჯექსონი (13), გრინი (10), ლეონარდი (10+3 ჩაჭრა).

**გ. სტეიტი-დენვერი 101:107 (2ო)**

**13:24, 26:16, 20:22, 27:24, 8:8, 7:13**

გ-ს: ტომპსონი (23), ლენდრი (22+9 მოხსნა), კარი (19+3 ჩაჭრა), ლი (18+9 მოხსნა+5 პასი).

დ: გალინარი (21+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), იგუოდალა (19+12 მოხსნა+8 პასი), ფარიდი (18+17 მოხსნა+3 დაფარება), მილერი (15+8 პასი), ბრიუერი (11), ლოუსონი (9+10 პასი), მაკგი (7+12 მოხსნა).



კარმელო ენტონიმ დალასს 31 ქულა ჩაუგდო

გია თვალაბეიშვილი

სამთო-სათხილამურო სპორტი

# ავსტრიული კრახი

ავსტრიის ზელდენში სამთო-სათხილამურო სპორტში სეზონის გახსნიდან ორი კვირის თავზე, მოთხილამურეებმა ფინეთის ლევიში გადაინაცვლეს, სადაც წელს პირველად ტარდებოდა სპეციალური სლალომის ეტაპი.

ამ დისციპლინაში ავსტრიის ქალთა ნაკრები სამართლიანად მიიჩნევა ლიდერად, მაგრამ ლევიში ამ გუნდის წევრებს სრული კრახი ელოდათ. ნაკრების სამმა ლიდერმა - **მარლის შილდმა, კატრინ ცეტელმა** და **მიხაელა კირხგასერმა** საერთოდ ვერ დაასრულეს დისტანცია. ავსტრიელ გულშემატკივრებს ყველაზე მეტად შილდმა დაწყვიტა გული, რადგან ვარჯიშებისას ყველა ერთხმად აღიარებდა - ავსტრიელი ბრწყინვალე ფორმაში იყო. საბოლოოდ, ავსტრიის ნაკრებიდან საუკეთესო შედეგი (მეცხრე ადგილი) გუშინდელმა რეზერვისტმა **ალექსანდრა დაუმმა** აჩვენა.

ფავორიტთა წარუმატებლობების გამო, ძალიან რთული იყო ეტაპის გამარჯვებულის პროგნოზირება. პირველი ცდის შემდეგ, ადგილობრივ პუბლიკას სრული უფლება ჰქონდა ეფიქრა, რომ რვაწლიანი შესვენების შემდეგ, ლევიში ფინელი მოთხილამურე გაიმარჯვებდა. **ტანია პოუტიაინენმა** შესანიშავი პირველი ცდა აჩვენა, თუმცა მას სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა მსოფლიოს თასის ყოფილი მფლობელი, გერმანელი **მარია რიში**. ამ უკანასკნელმა ძალიან დამაჯერებლად და ხარისხიანად გაიარა მეორე დაშვება და ამის ხარჯზე გაუსწრო მასპინძელს.

მესამე ადგილზე აღმოჩნდა 17 წლის ამერიკელი **მიკაელა შიფრინი**, რომელიც აოცებს გულშემატკივრებსა და სპეციალისტებს ფანტასტიკური შედეგებით. შიფრინისთვის ეს უკვე მეორე პოდიუმია მსოფლიო თასის ეტაპებზე.

ზელდენში გიგანტური სლალომის ტრიუმფატორმა **ტინა მაზემ** მეოთხე დრო აჩვენა. უნდა აღინიშნოს შვედეთის ნაკრების წარმატებული გამოსვლა - ამ ქვეყანას პირველ ათეულში სამი სპორტსმენი ჰყავდა.


მარია რიში

**სლალომი**

1. **მარია რიში (გერ)** - 1:55.58; 2. **ტანია პოუტიაინენი (ფინ)** - +0.55; 3. **მიკაელა შიფრინი (აშშ)** - +0.74; 4. **ტინა მაზე (სლოვენ)** - +0.96; 5. **ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკ)** - +1.24; 6. **ტერეზა ბორსენი (შვედ)** - +1.32...

ცხელი ხაზი

**ფუტსალი**

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| პარაგვაი-პორტუგალია | 1:4 |
| უკრაინა-იაპონია | [illegible]:3 |
| ესპანეთი-ტაილანდი | 7:1 |
| ირანი-კოლუმბია | 1:2 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| სკაილაინერსი-ბრაუნშვაიგი | 61:59 |
| მიტელდოიჩე-ალბა | 68:91 |
| ოლდენბურგი-ბაიროიტი | 71:50 |

**საბერძნეთი**

| | |
|---|---|
| კოლოსოსი-აპოლონი | 67:80 |
| რეტიმნო-პანელეფსინიაკოსი | 75:69 |
| კავალა-პაოკ | 70:91 |
| პერისტერი-ოლიმპიაკოსი | 78:92 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| რეალი-ბილბაო | 98:84 |
| სევილია-კანარიასი | 68:79 |
| გრან კანარია-ფუენლაბრადა | 73:52 |
| გიპუსკოა-უნიკახა | 54:67 |
| ვალენსია-კახა ლაბორალი | 75:79 |
| ესტუდიანტესი-ზარაგოსა | 68:83 |

**იტალია**

| | |
|---|---|
| ბიელა-ვარეზე | 60:77 |
| ბრინდიზი-[illegible] | 72:55 |
| კაზერტა-ვირტუსი | 65:56 |
| კანტუ-ვაროლი | 87:60 |
| მონტეგრანარო-რეჯო ემილია | 80:94 |
| სასარი-აველინო | 102:81 |
| მილანი-ვენეცია | 100:105 |

**თურქეთი**

| | |
|---|---|
| ბეშიქთაში-გაზიანთეფი | 83:69 |
| ბანვითი-მერსინი | 71:60 |
| პინარი-ფენერბაჰჩე | 72:66 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ლონდონი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-დელ პოტრო | 4:6, 6:3, 6:2 |
| ფედერერი-მიურეი | 7:6, 6:2 |

ჩოგბურთი. ATP. შემაჯამებელი ტურნირი

# ნოვაკი ფინალშია

დასასრულს მიუახლოვდა ლონდონის წლის შემაჯამებელი ტურნირი. გუშინ ნახევარფინალური მატჩები გაიმართა, მანამდე კი ჩატარდა ბოლო ტურის შეხვედრები B ჯგუფში და საუკეთესო ოთხეული საბოლოოდ დაკომპლექტდა.

ბოლო ტურის წინ, ამ ქვეჯგუფში ნახევარფინალის ერთი საგზური იყო ვაკანტური, რადგან **როჯერ ფედერერს** უკვე გარანტირებული ჰქონდა ფინალში გადასასვლელი მატჩი. ის ჯგუფში პირველ ადგილს შეინარჩუნებდა იმ შემთხვევაშიც, თუ სამ სეტში წააგებდა **დელ პოტროსთან**. რაც შეეხება ხუან-მარტინს, თავის უშუალო მეტოქესთან - **დავიდ ფერერთან** წაგების მიუხედავად, ყველაფერი მის ხელში იყო. ნებისმიერი მოგება როჯერთან არგენტინელს ნახევარფინალში თამაშის უფლებას აძლევდა. საბოლოოდ, არგენტინელს გაუმართლა, რადგან ფედერერს სწორედ მესამე ტურში გადაეყარა, როცა შვეიცარიელი არამოტივირებული იყო. მართალია, თამაში სამი სეტი გაგრძელდა, მაგრამ ბოლოს გამარჯვებული მაინც დელ პოტრო გამოვიდა - 7:6(3), 4:6, 6:3.

*„თუ სიმართლე გაინტერესებთ, უფრო ფერერზე ვფიქრობდი ვიდრე ჩემზე. მინდოდა მისთვის შანსი მიმეცა, მაგრამ თან ნახევარფინალისთვის უკეთ უნდა მოვმზადებულიყავი. ძალიან დაწაღვლიანებული ვარ დავიდის გამო“*, - განაცხადა როჯერმა.

ასე რომ, ფერერმა თავისი შანსი ვერ მიიღო. მისი მატჩი **იანკო ტიპსარევიჩის** წინააღმდეგ ფორმალობად იქცა - თუ არ ჩავთვლით საპრიზოებსა და 200 ქულას, რომელსაც ჯგუფური ეტაპის ყოველი მატჩისთვის იძლევიან. გარდა ამისა, დავიდსა და იანკოზე იყო დამოკიდებული ჯგუფში პირველი ადგილის ბედი. თუ ტიპსარევიჩი მოიგებდა, ფედერერი ნახევარფინალში **ჯოკოვიჩს** შეხვდებოდა, ფერერის მოგების შემთხვევაში - **მიურეის**.

ესპანელმა მხოლოდ პირველი სეტი ჩააგდო, მაგრამ შემდეგ ძალიან იოლად გატეხა სერბის წინააღმდეგობა - 6:4, 3:6, 1:6. საბოლოოდ, დავიდი ჯგუფში ჩარჩა, მაგრამ ლონდონში 400 ქულა მოიპოვა და ახლა, მხოლოდ 365 ქულით ჩამორჩება **რაფა ნადალს**. ამასთან, ფერერისთვის სეზონი დასრულებული არ არის, რადგან მას წინ აქვს დევისის თასის ფინალი.

■ ■ ■

გუშინ კი ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. ფედერერისა და მიურეის ნახევარფინალი გვიან დასრულდა, მანამდე კი ურთიერთობა გაარკვიეს ჯოკოვიჩმა და დელ პოტრომ.

სასტარტო პარტიაში ჩოგბურთელები დამაჯერებლად ინარჩუნებდნენ საკუთარი მოწოდებას და საბოლოოდ, ყველაფერი ერთმა ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც არგენტინელმა მეცხრე გეიმში გააკეთა - 5:4. ამის შემდეგ, ხუან-მარტინმა ნულზე აიღო თავისი მოწოდება.

მეორე სეტის დასაწყისში დელ პოტრო აქტიურად თამაშობდა და მესამე გეიმში აიღო ჯოკოვიჩის მოწოდება - 2:1. მაგრამ სერბმა მაშინვე ბრეიკით უპასუხა და ისევ გაათანაბრა ანგარიში. ამის შემდეგ, მსოფლიო რეიტინგის ლიდერმა შეამცირა შეცდომების რაოდენობა და ინიციატივა მოიპოვა. მერვე გეიმში ნოვაკმა სეტში მეორე ბრეიკი გააკეთა, რის შემდეგაც, უპრობლემოდ ჩააწოდა სეტზე - 6:3.

გადამწყვეტი სეტი დელ პოტრომ რამდენიმე შეცდომით დაიწყო, რისი წყალობითაც სერბმა ბრეიკით წაიყვანა ანგარიში - 3:1. შემდეგ ჯოკოვიჩმა კიდევ ერთი ბრეიკი გააკეთა და 5:2-ზე მატჩზე ჩაწოდების უფლება მიიღო. სერბმა მეტოქეს არ მისცა თამაშის გადარჩენის შანსი - 6:2.

თამაში 2 საათი და 12 წუთი გაგრძელდა. ჯოკოვიჩისთვის ეს იყო მეცხრე გამარჯვება დელ პოტროზე ცხრა ჩატარებულ შეხვედრაში.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**


ნოვაკ ჯოკოვიჩი

კალათბურთი. ევროლიგა. V ტური

# არშემდგარი შოუ

ევროლიგის მეხუთე ტურის ცენტრალური შეხვედრა მოსკოვში გაიმართა, სადაც ცსკა და „ბარსელონა“ არკვევდნენ ურთიერთობას. შარშან, სწორედ ეს ორი გუნდი აჩვენებდა ყველაზე შინაარსიან და ხარისხიან კალათბურთს, გარდა ამისა, აღნიშნულ მატჩს ისინი წაუგებელად შეხვდნენ. შესაბამისად, ეს შეხვედრა ტურის მშვენება უნდა ყოფილიყო, მაგრამ არმიელებმა კონკურენცია ვერ გაუწიეს კატალონურ გრანდს.

მასპინძლებმა დიდი შესვენებისთვის ასე თუ ისე გაიტანეს თავი და მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩნენ, მაგრამ ბოლო ორ მეოთხედში **მესინას** შეგირდებმა სულ რაღაც 25 ქულა დააგროვეს. ეს კი ძალიან მწირი მონაგარია იმ დროს, როცა თავისი თამაში იპოვა „ბარსელონას“ ლიდერმა **ხუან კარლოს ნავარომ**. მან ამ მატჩში 21 ქულა დააგროვა, რაც მიმდინარე ჯგუფურ ეტაპზე ესპანელის პირადი რეკორდი გახლავთ.

## ტურის მოთამაშე

იტალიის „მონტეპასკიმ“ ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია და ზედიზედ მეორედ, ტურის საუკეთესო მოთამაშე გახდა ამ გუნდის კალათბურთელი **ბობი ბრაუნი**. „მონტეპასკის“ მიერ პოლონეთში დაგროვილი 101 ქულიდან ბრაუნმა თავის ანგარიშზე 27 ქულა ჩაიწერა და თან შვიდი შედეგიანი პასი დააგროვა.

ამან ბრაუნს ეფექტურობის 31 ქულა მოუტანა, მაგრამ ეს არ ყოფილა ტურში საუკეთესო მაჩვენებელი - „შალონის“ ამერიკელმა ლეგიონერმა **ბლეიკ შილბმა** 34 ქულა დააგროვა, მაგრამ მისმა გუნდმა „უნიკახასთან“ წააგო, ამიტომაც, ტურის გმირის წოდება ბრაუნს მიანიჭეს.

„მონტეპასკის“ მცველის 27 ქულა - ტურის საუკეთესო შედეგი იყო. საუკეთესო მომხსნელი გახდა „ოლიმპიას“ ავსტრალიელი ცენტრი **აარონ ბეინსი** (10 მოხსნა „რეალის“ წინააღმდეგ), საუკეთესო გამთამაშებელი - **ვასილის სპანულისი** (9 პასი).

## ტურის სიმბოლური

ბობი ბრაუნი („მონტეპასკი“) - 27:29: 27 ქულა, 7 პასი;

კერტის ჯერელსი („ბეშიქთაში“) - 35:42: 25 ქულა, 7 მოხსნა, 3 პასი;

მიკაელ ჟელაბალი („ცედევიტა“) - 31:43: 11 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება;

კოსტას პაპანიკოლაუ („ოლიმპიაკოსი“) - 29:55: 17 ქულა, 2 მოხსნა, 1 პასი, 2 ჩაჭრა;

ლუკა ზორიჩი („უნიკახა“) - 22:52: 17 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება.

**A ჯგუფი**

**კანტუ-ფენერბაჰჩე 82:58**

23:12, 18:15, 16:14, 25:17

კ: ტაბუ (16+7 პასი), ბრუქსი (15+5 მოხსნა), კუზინი (15+6 მოხსნა), არადორი (14).

ფ: სატო (10).

**ოლიმპია-რეალი 76:89**

18:21, 17:25, 22:22, 19:21

ო: პეიჯი (22), ბლაჟიცი (14), ბეინსი (11+10 მოხსნა).

რ: ფერნანდესი (18), რეიესი (16+7 მოხსნა), კეროლი (14), მიროტიჩი (13), სლოტერი (11).

**პანათინაიკოსი-ხიმკი 67:79**

23:17, 18:21, 17:20, 9:21

პ: უკიჩი (13), შორცანდისი (12), მაჩიულისი (11).

ხ: პლანინიჩი (18+6 მოხსნა), ლონჩარი (14+8 მოხსნა), დევისი (13+5 მოხსნა), კოპონენი (12), ფრიძონი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. რეალი | 4 | 1 | 41 |
| 2. ხიმკი | 3 | 2 | -2 |
| 3. ფენერბაჰჩე | 3 | 2 | -5 |
| 4. კანტუ | 2 | 3 | 8 |
| 5. პანათინაიკოსი | 2 | 3 | -8 |
| 6. ოლიმპია | 1 | 4 | -34 |

**B ჯგუფი**

**ალბა-მაკაბი 76:78**

10:16, 25:22, 17:18, 24:22

ა: ჯედოვიჩი (17+7 მოხსნა), ტომპსონი (14+6 მოხსნა), მორლი (10).

მ: სმიტი (20), პნინი (11).

**შალონი-უნიკახა 78:88**

21:24, 11:20, 29:24, 17:20

შ: შილბი (24+6 მოხსნა+4 პასი), რაში (12), ლოვერნი (10).

უ: სიმონი (18), ზორიჩი (15+7 მოხსნა), გისტი (13+7 მოხსნა), მ. უილიამსი (12+5 მოხსნა+7 პასი), კელოუეი (11+4 პასი).

**პროკომი-მონტეპასკი 66:101**

22:21, 13:21, 12:37, 19:22

პ: აკერი (15), კომარეკი (13+4 პასი), ხრიცანიუკი (12+5 მოხსნა).

მ: ბრაუნი (27+7 პასი), ჯენინგსი (16), მოსი (16), კანგური (12), რესი (10+7 მოხსნა), ჰეკეტი (10+5 პასი).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მაკაბი | 5 | 0 | 69 |
| 2. უნიკახა | 4 | 1 | 14 |
| 3. მონტეპასკი | 2 | 3 | 24 |
| 4. ალბა | 2 | 3 | -5 |
| 5. შალონი | 1 | 4 | -38 |
| 6. პროკომი | 1 | 4 | -64 |

**C ჯგუფი**

**მილანი-ოლიმპიაკოსი 71:84**

17:24, 19:17, 14:18, 21:25

მ: ლენგფორდი (17+6 მოხსნა), ბურუსისი (16+9 მოხსნა), ჰეირსტონი (15), კუკი (11+5 პასი).

ო: სპანულისი (23+9 პასი), პაპანიკოლაუ (17), მავროეიდისი (13+7 მოხსნა).

**ცედევიტა-კახა ლაბორალი 76:69**

24:24, 15:10, 19:12, 18:23

ც: ბილანი (16+5 მოხსნა), რაიტი (14), სუპუტი (12), ჟელაბალი (11+9 მოხსნა).

კ-ლ: სან ემეტერიო (15+7 მოხსნა), ნოჩიონი (12), ლამპე (11).

**ეფესი-ჟალგირისი 64:77**

23:25, 14:12, 14:23, 13:17

ე: ერდენი (20+6 მოხსნა), ფარმარი (13+4 პასი+4 ჩაჭრა).

ჟ: პოპოვიჩი (21), დარდენი (16), დ. ლავრინოვიჩი (15+6 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ჟალგირისი | 5 | 0 | 70 |
| 2. ეფესი | 3 | 2 | 39 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | -25 |
| 4. მილანი | 2 | 3 | -11 |
| 5. კ. ლაბორალი | 1 | 4 | -19 |
| 6. ცედევიტა | 1 | 4 | -54 |

**D ჯგუფი**

**ცსკა-ბარსელონა 60:81**

19:17, 16:21, 13:25, 12:18

ც: კრსტიჩი (18), ტეოდოშიჩი (12+5 მოხსნა).

ბ: ნავარო (21), ლორბეკი (15), მარსელინიო (12), ჯავაი (10+7 მოხსნა).

**ლ. რიტასი-ბეშიქთაში 67:73**

20:17, 13:16, 15:16, 19:24

ლ-რ: ბაბრაუსკასი (14), ნედოვიჩი (11).

ბ: კრისტოფერი (25), მარკოტა (13+6 მოხსნა), დაშიჩი (10).

**პარტიზანი-ბამბერგი 72:77**

16:16, 25:17, 21:22, 10:22

პ: ლუჩიჩი (17+7 მოხსნა), გაგიჩი (17+7 მოხსნა), გორდონი (10+8 მოხსნა).

ბ: ნახბარი (19+6 მოხსნა), ჯეიკობსონი (18), გიპსონი (13).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 0 | 66 |
| 2. ცსკა | 4 | 1 | 22 |
| 3. ბეშიქთაში | 3 | 2 | -2 |
| 4. ბამბერგი | 2 | 3 | -25 |
| 5. ლ. რიტასი | 1 | 4 | -24 |
| 6. პარტიზანი | 0 | 5 | -37 |

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# ვახს ქვის თავი ჰქონდა

## პოლონელ პრეტენდენტს კლიჩკოსგან 274-ჯერ მოხვდა და არ წაიქცა


ვლადიმერს დიდი უპირატესობა ჰქონდა

**ვლადიმერ კლიჩკო** 12 რაუნდის განმავლობაში უმოწყალოდ ურტყამდა **მარიუშ ვახს** და გაიმარჯვა მსაჯების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით. პოლონელმა გიგანტმა სასწაულებრივ გაუძლო დიდი რაოდენობის დარტყმას.

შაბათს, მთელი საკრივო სამყარო მოუთმენლად ელოდა ვლადიმერ კლიჩკოს მორიგ ბრძოლას. 36 წლის უკრაინელი მძიმეწონოსანი სამ საჩემპიონო ქამარს იცავდა - IBF-ის, WBO-სა და WBA-ის ვერსიებით.

### ბრძოლის წინ

ბრძოლის წინ ბევრი ამტკიცებდა, რომ 32 წლის პოლონელი არ იყო ხელწამოსაკრავი მეტოქე. ამის მტკიცების საფუძველს ორი რამ იძლეოდა: ჯერ ერთი, ვახს პროფესიულ კარიერაში არც ერთი ბრძოლა არ ჰქონდა წაგებული (27 მოგება, 15 - ნოკაუტით), და მეორე - კლიჩკო კარიერაში პირველად ჩხუბობდა მასზე მაღალ მეტოქესთან. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელი იყო, რომ აქამდე პოლონელი დაბალრეიტინგიან მოკრივეებს ხვდებოდა და ბევრს ვერ ამარცხებდა ნოკაუტით. რაც შეეხება სიმაღლეში ოთხსანტიმეტრიან სხვაობას, კლასში ასეთი სხვაობის ფონზე, ეს კლიჩკოსთვის პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. ერთადერთი, რაც უკრაინელის სასარგებლოდ არ ლაპარაკობდა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა იყო. 2004 წლის შემდეგ პირველად, ვლადიმერი რინგზე არ გამოუყვანია მის ან უკვე გარდაცვლილ მწვრთნელს **ემანუელ სტიუარდს**.

### ბრძოლა

გასული წლის ივლისში ვლადიმერ კლიჩკოს 12 რაუნდი გაუძლო **დევიდ ჰეიმ** და მსაჯების გადაწყვეტილებით დამარცხდა. შემდეგ იყო **მორმეკისა** და **ტომპსონის** ნოკაუტით დამარცხებები და ახლა, ისევ გამოჩნდა მეტოქე, რომელმაც ბოლომდე გაუძლო ჩემპიონს.

გასაკვირია, მაგრამ კლიჩკოსა და ვახის ბრძოლა უფრო ემოციური და ბუნებრივი იყო, ვიდრე ჰეისთან დისტანციური დაპირისპირება. კრივის დიდების დარბაზი ვალდებულია ძეგლი დაუდგას ვახის ყბას, რომელმაც უძლიერესი ჯებების დიდ რაოდენობას გაუძლო და სასწაულებრივ მიაღწია მსაჯების გადაწყვეტილებამდე. დიდი ხანია, ვლადიმერი რინგზე ასე არ დახარჯულა, ვახი კი ბოლო წლებში კლიჩკოს ნამდვილად ყველაზე ღირსეული ოპონენტი გახდა.

თანამედროვე სუპერმძიმე კატეგორია სავსეა განსხვავებული მოკრივეებით, რომლებსაც ერთი რამ აერთიანებთ - ისინი არ გამოდგებიან უკრაინელის მეტოქეებად. პირველივე რაუნდში გამოჩნდა, რომ მარიუში - ერთ-ერთი ამათგანია, რადგან ძალიან ბევრ დარტყმას ატარებდა. მაყურებელმა ჯერ არ იცოდა, რომ გიგანტის თავი ქვისგან იყო გამოკვეთილი და ნაადრევ ნოკაუტს ელოდა. ჩემპიონი კი უბრალოდ წინ მიდიოდა, აკონტროლებდა მეტოქის მოქმედებას და შესანიშნავად გადაადგილდებოდა რინგზე.

მეორე რაუნდში შესამჩნევი გახდა კიდევ ერთი დეტალი: ვახი კლიჩკოს ათობით დარტყმას იღებდა, რის შემდეგაც მკვეთრად „ფეთქდებოდა“ და ბრძოლის წინ დაპირებული ნოკაუტის მიღწევას ლამობდა. უკრაინელი გრძნობდა მეტოქის მცირეოდენ პრესინგს, მაგრამ აგრძელებდა მარიუშის ჯებებით დაბომბვას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვლადიმერი ასეთი რაოდენობის დარტყმებით მთელ სუპერმძიმე წონას დააწვენდა! მაგრამ ამ ტანმაღალ მოწინააღმდეგეს ვერაფერი მოუხერხა. საინტერესო მომენტს ჰქონდა ადგილი მეხუთე რაუნდში: ვახი გააქტიურდა, ზედ გონგის წინ ბაგირებთან მიიმწყვდია ჩემპიონი და კორპუსსა და სახეში ურტყამდა მას. ვლადიმერმა ჩაიმუხლა კიდეც, მაგრამ ეს არ ყოფილა მომენტი, როცა მას შეიძლება ნოკდაუნი მიელო.

მერვე რაუნდისთვის ვლადიმერმა საბოლოოდ დალალა ვახი, რომელმაც დაკარგა ტემპი და ველარ პასუხობდა მოულოდნელი შეტევებით. სამაგიეროდ, ფეხზე ისევ მყარად იდგა, არადა, მომენტებში უმცროსი კლიჩკო ახლოს იყო ნოკაუტთან.

მაგრამ, მეცხრე რაუნდისთვის ვახს მეორე სუნთქვა გაეხსნა, რაც ადრე კლიჩკოს არც ერთ მეტოქეს არ ჰქონია. ადრე ყველაფერი პირველი შტურმით მთავრდებოდა, აქ კი ჩემპიონი დაილალა და ბრძოლა ოდნავ გათანაბრდა. ბოლო ორმა რაუნდმა პოლონელის მხრიდან ნოკაუტის აქტიურ მცდელობებში ჩაიარა, მაგრამ ვერაფერს გახდა. მე-12 რაუნდში ვახმა კლინჩის დროს მეტოქე წააქცია, ბოლო წამებზე კი ძალები მოიკრიბა და მუშტებს ბოლო მომენტამდე იქნევდა.

ვლადიმერმა ულაპარაკო გამარჯვება მოიპოვა. 120:107, 120:107, 119:109 - ასეთი იყო მსაჯების შეფასება. კლიჩკომ, სავარაუდოდ, თავის წონაში საუკეთესო ტექნიკა აჩვენა, მაგრამ მარიუშ ვახმა დაიმსახურა საღამოს გმირის წოდება.

მოგვიანებით, გამოქვეყნდა დარტყმების სტატისტიკა. კლიჩკომ 693 დარტყმა შეასრულა და აქედან 274-მა მიაღწია მიზანს (სიზუსტის 40 პროცენტი), იმ დროს, როცა ვახმა 308-დან მხოლოდ 60 ზუსტი დარტყმა მიითვალა (19 პროცენტი).

### ვინ იქნება შემდეგი?

ბუნებრივია, ბრძოლის დასრულებისთანავე დაიწყეს ლაპარაკი იმის შესახებ, თუ ვინ იქნება კლიჩკოს შემდეგი მეტოქე. ამასთან დაკავშირებით, საინტერესო განცხადება გააკეთა WBA-ის ვერსიით „რეგულარული“ ჩემპიონის, რუსი **ალექსანდრ პოვეტკინის** მენეჯერმა **ვლადიმერ ხრიუნოვმა**. მისი თქმით, ის დღეიდან დაიწყებს მოლაპარაკებებს ვლადიმერ კლიჩკოს გუნდთან.

*„ალექსანდრ პოვეტკინისა და ვლადიმერ კლიჩკოს ბრძოლაზე მოლაპარაკებები ორშაბათიდან უნდა დავიწყოთ, - განაცხადა მენეჯერმა. - ვახს რომ გაემარჯვა, მასთან დავიწყებდით ბრძოლის ორგანიზებაზე მოლაპარაკებას. პოვეტკინისა და კლიჩკოს ბრძოლა 2013 წლის 27 თებერვლამდე უნდა გაიმართოს. ეს არის WBA-ის გადაწყვეტილება და ის უნდა შესრულდეს“.*

პოვეტკინთან ბრძოლის შესაძლებლობა დაადასტურა ვლადიმერ კლიჩკომაც: *„არ გამოვრიცხავ რუსთან შეხვედრას. ვფიქრობ, ორი-სამი კვირის განმავლობაში მოვუღებთ ბოლოს ყველანაირ სპეკულაციას და გამოვაცხადებთ ჩემს მომავალ მეტოქეს. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმ ორგანიზაციებთან მოლაპარაკებებზე, რომლის ჩემპიონიც გახლავართ. ამ ფედერაციებს რეიტინგის პირველი ნომრები ჰყავთ და მე ვალდებული ვარ მათთან ბრძოლაში დავიცვა ტიტული. ამიტომაც, ვნახოთ, ვინ იქნება შემდეგი. ორ-სამ კვირაში ეს გაირკვევა. პოვეტკინთან ბრძოლა მაინტერესებს - ის ოლიმპიური ჩემპიონია, WBA-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი...“*

გია **თვალაბეიშვილი**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ნიკოლოზ ნეფარიძე**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 03:20
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**